# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 30 მაისი, 2012 წელი.

№101 (6977)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ივანიშვილმა უკან დასახევი გზა მოიჭრა

27 მაისის აქციის წარმატება განაპირობა იმან, რომ დედაქალაქს ხელი მიუწვდება რეალურ ინფორმაციაზე, რაც არ არსებობს რეგიონებში.

ამ დღემ გაზომა არა იმდენად ივანიშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა, არამედ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც საკუთარ თავს აჯობეს.



3

## მაგ საკენკს უკვე არვინ აკენკავს!



შეუთავსებლობა კი არა, ტოტალური მოსმენის, ნულოვანი ტოლერანტობისა და ოპოზიციური აზროვნების შეუწყნარებლობის სააკაშვილისეული პოლიტიკის მორიგი დემონსტრირება!

4

## აქვს ზნეობას ორმაგი სტანდარტი?



## აბსურდის ალდუმი



5

კავკასიის ეკონომიკურ და ფინანსურ ცენტრად საქართველო თუნდაც იმიტომ ვერ გადაიქცევა, რომ ასეთი ცენტრი ბაქოს სახით უკვე ჩამოყალიბებულია. აზერბაიჯანი ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ამით უკვე აქვს მოპოვებული რეგიონში ეკონომიკური და ფინანსური ცენტრის სტატუსი.

## „ხათაბალა“ ტერიტორიები და პუტინთან ურთიერთობის აუცილებლობა



7

## მივდივართ და საით...

9

## ქართული მოდელი ახალ მომხრეებს იზიდავს

8



ვითარება

# რა აჩვენა „ქართული ოცნების“ აქციამ

**შთამბეჭდავი, უჩვეულო, პოზიტიური, კარგად ორგანიზებული - ასე შეფასდა პოლიტოლოგების მიერ „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დასაწყისი, 27 მაისს თავისუფლების მოედანზე გამართული მშვიდობიანი აქცია, რომელსაც ათობით ათასი ადამიანი დაესწრო. თავად ბიძინა ივანიშვილმა 28 მაისს „ქართული ოცნების“ ტრადიცულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ თავისუფლებისკენ ქართველების ორგანიზებულ და შეგნებულ სწრაფვას ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს. ექსპერტების ერთი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ერთი ხალხმრავალი აქციით არჩევნების ბედი არ წყდება.**



„ქართული ოცნების“ აქციის შემდეგ ამ ფორმით ამ პოლიტიკური ძალის მიერ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყება არაერთმა ქართველმა ექსპერტმა შეაფასა როგორც ნიშანი იმისა, რომ ქვეყანაში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა შესაძლებელია. უჩვეულოდ მიიჩნევდნენ ამ აქციას იმიტომაც, რომ 27 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებილი დაახლოებით 100 000-მდე ადამიანი არ გამოსულა ექსტრემალური მოწოდებებით, განსხვავებით არცთუ შორეულ წარსულში გამართული მიტინგებისაგან. პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძისათვის ნიშანდობლივი იყო ხალხის დამოკიდებულება ამ აქციიის მიმართ, კერძოდ, რომ ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა. მისი სიტყვებით, „სულსწრაფობის“ ნაკლებობამ, რომელიც საქართველოში აქციებს აქამდე სულ ახლდა, მასში სიახლის განცდა გააჩინა. ეს აქცია, რამაზ საყვარელიძის შეფასებით, ბევრი რამის ნიშანი იყო ხელისუფლებისთვისაც: გაცხადებულიცაა მათ მიერ, რომ ეს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის ამოცანისთვის შეკრებული გაერთიანებაა ... რამაზ საყვარელიძე.

„ხელისუფლებამ, წესით, უნდა დაასკვნას, რა რაოდენობის ხალხი მოგროვდება, თუკი გაჩნდება უკმაყოფილება არჩევნების შედეგების მიმართ და ასევე რამდენად უჭერს მხარს ივანიშვილს ქართული საზოგადოება, კერძოდ კი, თბილისი. თბილისი რომ ხელისუფლებისათვის კომფორტული ქალაქი არ არის, ეს ცხადია და დასტურდება ქუთაისში საპარლამენტო დედაქალაქის გადატანის ნაბიჯით, მაგრამ თბილისი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა და ამაზე დაფიქრება უფრო მეტად მოუწევს ხელისუფლებას, ვიდრე ამ აქციამდე“.

აქციამ ცხადი გახადა კიდევ ერთი მომენტი: ყველა ის პოლიტიკური პარტია, ვისაც ხალხის მობილიზაცია შეუძლია, ბიძინა ივანიშვილს ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ცენტრალურ ფიგურად აღიქვამს. მას ყველა იღებს როგორც ამ ბრძოლის ლიდერს, გვეუბნება რამაზ საყვარელიძე. თუმცა სხვადასხვა პლატფორმაზე მდგარი ადამიანების ერთობა არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველა ერთხმად მისცემს ხმას, მაგალითად, რომელიმე კონკრეტულ კანონს.

„არა მგონია, ასეთი ერთობა მივილოთ. და გაცხადებულიცაა მათ მიერ, რომ ეს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის ამოცანისთვის შეკრებილი გაერთიანებაა“.

27 მაისის აქციის პოზიტიურ მხარედ პოლიტოლოგ გია ნოდიას ის ფაქტი მიაჩნია, რომ ეს აქცია იყო საარჩევნო კამპანიის დასაწყისი და არა ხელისუფლების შეცვლის მეთოდი:

„ამ აქციამ მართლაც ჩაუნერგა ოპოზიციის მომხრეებს, რომ არჩევნების გზით შეიძლება ხელისუფლება შეიცვალოს. ივანიშვილმა შეძლო კვლავ გაეერთიანებინა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ძირითადი ბირთვი და მართლაც პოზიტიური მომენტი იყო ის, რომ ამ ხალხის მისვლა აქციაზე არ ნიშნავდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადადგომის მოთხოვნას, არამედ მხოლოდ მათი საარჩევნო კამპანიის დასაწყისს“.

გია ნოდიასათვის ამ პროცესის მთავარი ნაკლი არის ის, რომ ოპოზიცია ბოლო წლებში ერთიანდება არა დადებითი იდეების გარშემო, არამედ ზოგადად ოპოზიციურობის ნიშნით. თავისთავად ეს ეკლექტურობა ნოდიასათვის მოსაწონი არ არის. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ანგარიშგასაწევ ძალად მოგვევლინება „ქართული ოცნება“ ოქტომბრის არჩევნებზე, ნოდიას აზრით, ამ პოლიტიკური ძალის რესურსი საკმარისი იქნებოდა სუსტი მთავრობის შემთხვევაში:

„ვარდების რევოლუციის დროს ძირითადი განწყობა იყო შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული და არა რაღაც იდეებისთვის, მაგრამ ის ხელისუფლება ძალიან სუსტი იყო. ძლიერი ხელისუფლების პირობებში კი ეს ძალა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ საკმარისი აღმოჩნდეს გამარჯვებისათვის“.

თუმცა თავად „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს არჩევნების მოგების იმედი აქვს. მან ეს კიდევ ერთხელ განაცხადა 28 მაისის პრესკონფერენციაზე და იქვე აღნიშნა, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა ნახევარზე მეტი უკვე შერჩეულია და მათ დასახელებას „ქათული ოცნება“ პირველი ივნისიდან დაიწყებს.

**ეკა ქევანიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

გუშინდელი ფოსტიდან

## მართული მართა არდაშელია ჟურნალისტურად ირჯება...

**27 მაისს გაუგონარმა ხალხმრავლობამ ბევრი რამ ცხადი გახადა აქეთაც და იქითაც... ცხადი გახადა თუნდაც მაესტროელი ოდიშვილის მიგნება, რომ ზოგიერთი, ნამდვილი ჟურნალისტისგან განსხვავებით, აშკარად ჟურნალისტია, ანუ, იმ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ქვევრს, ანუ ჟურს რასაც ჩასძახიან, იმას ამოიძახის. აი, მაგალითად, ვითომ ჟურნალისტი ექსპერტი ვინმე თავხელიძე, როგორც ნაციონალთაგან მოსყიდულ-დაფინანსებული ჟურნალისტი, 27 მაისის ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერ ხალხმრავლობაში მხოლოდ 30 ათას თბილისელს ხედავს; წინასაარჩევნოდ გაციბრუტებული პრეზიდენტის სეხნია თავხელიძისგან პოლიტიკური სითავხედით თითქმის არცრით განსხვავებული რუსთავორელი კიკალიშვილი და გოგოტიშვილი კი ჟურნალისტური დუეტით უგალობენ თავიანთ „ნაციონალურ კეთილდღეობას?...**

**ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ჩვენს შიდა ანგარებიან ჟურნალისტებს მხარს აგრერიგად დაუმშვენებდა საერთაშორისო არხის არტივიაის (IRTVI) საქართველოს ახლად გამომცხვარი რუსულენოვანი კორესპონდენტი ჩვენი მართა არდაშელიაც (აღარაფერს ვამბობ პიკელებზე (ПИК), რომელთა არხსაც პირდაპირ უნდა ვუწოდოთ ნაციონალთა პროპაგანდისტული ჟური, ანუ ქვევრი, საიდანაც ნაციონალთაგან ქართულად ჩაძახებულის რუსული ამოძახილი ისმის...).**

**ეს პატარა წერილი არტივიაის (IRTVI) 28 მაისის გადაცემამ მომაწერინა. როგორც ცნობილია, ეს არხი, რუსულენოვანი ებრაული არხია და, სხვა არხთაგან განსხვავებით, იმიტომაც არ გაგვითიშეს, რომ ვაშინგტონიდან საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის სასარგებლო ინფორმაციას ავრცელებს. ასე იყო ამჯერადაც... ჩვენმა მართამ ვაშინგტონიდან მსოფლიოს ამცნო, რომ საქართველოში გაჩენილი ახალი ოპოზიცია მილიარდერ ივანიშვილის სახით პრეზიდენტის ალტერნატივა ვერ იქნება, რადგან საქართველო ძირითადად მაინც სააკაშვილს უჭერს მხარსო... და გადაცემა ძირითადად ქუთაისის ღონისძიებებს მიუძღვნა... ასე რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ სინამდვილეში სწორად ვერ შეიტყო, რა მოხდა, რა დაიწყო 27 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე...**

**ერთი სიტყვით, ეს ჩვენი ჟურნალისტი არდაშელია მართა თავის მიუკერძოებლად გასაკეთებელ საქმეს — მსოფლიოს სწორად ინფორმირებას — თავის უშუალო დამქირავებლების სასარგებლოდ ხლართავს... და აშკარას ხდის, რომ მართას ნაციონალი პატრონი მართავს.**

ნუგზარ დედანაპოვნიშვილი,
ქ. თელავი.

ინფორმაცია

## ვინ და რატომ აჩერებს ტვირთს?

**„ქართუ ჯგუფში“ შემავალი შპს „ელიტ ბურჯის“ ტვირთი ორი დღეა ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტზეა გაჩერებული.**

**„ელიტ ბურჯის„ კუთვნილმა ტრაილერმა, რომელიც პოლიგრაფიული მასალით იყო დატვირთული, რუსეთიდან საზღვარი 27 მაისს გადმოკვეთა. თუმცა ტვირთი ქართულ მხარეს ჰყავს გაჩერებული.**

**როგორც „ელიტ ბურჯის“ წარმომადგენელი გიორგი ლილუაშვილი აცხადებს, 603 ტონა ტვირთი მხოლოდ ქაღალდია, რომელიც გამოიყენება პოლიგრაფიაში. შესაბამისად, შეფერხების მიზეზი ტვირთის საეჭვოობა ვერ გახდებოდა. გარდა ამისა, მისი თქმით, მძღოლსაც, მანქანასაც და ტვირთსაც საბუთები მოწესრიგებული აქვთ. მისივე თქმით, სავარაუდოდ, ეს პოლიგრაფიული მასალები გამოყენებული იქნება კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და სწორედ ამიტომ არ ეძლევათ ქაღალდის ქვეყანაში შემოტანის საშუალება.**

ინტერპრესნიუსი



SIC!

# 27 მაისი ხელისუფლებამ საიდუმლოდ სამუშაო დღედ გამოაცხადა

**27 მაისს საჯარო სტრუქტურები და მათზე დაქვემდებარებული ორგანოები ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმით მუშაობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კვირა იყო და, წესით, კვირა უქმე დღეა.**

რა თქმა უნდა, 27 მაისი სამუშაო დღედ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ ეს ინფორმაცია Presage.tv–ის თავად იმ ადამიანებმა მიაწოდეს, ვინც საჯარო სტრუქტურაში არიან დასაქმებული.

აქამდე, რაიმე მასშტაბური აქციის დროს სამსახურში გამოცხადების ვალდებულება მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებზე ვრცელდებოდა და მათაც იცოდნენ და დანარჩენმა საზოგადოებამაც, რომ ძალოვანები აქციების დროს მუშაობენ, ყველანაირი გაგებით.

მაგრამ, ახლა ამ კატეგორიას სრულიად უწყინარი პროფესიის ხალხი – კულტურის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის სამინისტროების რიგითი თანამშრომლები და პოლიკლინიკების პერსონალიც კი დაამატეს.

**„გვითხრეს, რომ სამსახურში უნდა მივსულიყავით, თუ არადა, გაგვათავისუფლებდნენ. ასე გვითხრეს, თუ არ გაითვალისწინებთ, ძალიან ბევრ ადამიანს უნდა სამსახურის დაწყება და ისინი მოვლენ თქვენს ადგილასო. ისედაც სულ იმის შიშში ვართ, რომ სამსახურიდან ან ახლა გაგვიშვებენ და ან ახლა და რა უნდა გვექნა, მივედით და ვისხედით“,** – გვიყვება ერთ-ერთი პოლიკლინიკის ექიმი, რომლის ვინაობასაც, მისივე თხოვნით, ვერ ვასახელებთ გასაგები მიზეზების გამო.

თუმცა, როგორც ის ამბობს, გარკვეულმა კატეგორიამ მაინც მოახერხა, რომ სამსახურში არ მისულიყო.

საინტერესოა ისიც, რომ ამ აქციაზე ძალოვანი უწყებების თანამშრომლებს სწორედ ის ევალებოდათ, რომ საჯარო უწყებების



თანამშრომლები აღმოეჩინათ. ძნელი სათქმელია, ამას რა მეთოდებით ახერხებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ახალი მეთოდი არ არის და, როგორც წესი, აქციაზე ისინი იმიტომ დადიან, რომ საჯარო უწყებების თანამშრომლები დაითვალონ და უფროსობას უპატაკონ. მერე აღმოჩენილებს სამსახურებიდან გაათავისუფლებენ სხვადასხვა საბაბით, აღმომჩენებს კი დააწინაურებენ ან პრემიას გამოუწერენ „კარგი მუშაობისთვის“.

ეს ყველამ იცის და ამიტომ, აქციის ჩატარებისას ყოველთვის არსებობს იმის პრობლემა, რომ გარკვეული კატეგორიის ხალხი, უნდა თუ არა აქციაზე მისვლა, ვერ მივა. ახლა კი, როგორც ჩანს, ამ კატეგორიის ხალხის წრე კიდევ უფრო გაფართოვდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი სათქმელია, ამ მეთოდით ხელისუფლებამ აქციაზე რამდენი ადამიანის მისვლას შეუშალა ხელი. მაგრამ, ნაცმოძრაობის ფანების და მაღალჩინოსნების ცოლების, მაგალითად, ბოკერიას ცოლის, მოლოდინს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც მან ფეისბუკზე გამოთქვა, სადაც „რკინისებური ლოგიკით“ ითვლის, აქციაზე 30 000 კაციც კი ვერ მივიდოდა, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ხელისუფლებას ამ მეთოდებით სწორედ იმაზე ჰქონდა გათვლა, რომ აქციაზე 30 ათასზე მეტი არ უნდა მისულიყო.

**თეონა ხარაბაძე**

# ივანიშვილმა უკან დასახევი გზა მოიჭრა






კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. საზოგადოება ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არაერთი ბლოკის, კოალიციისა თუ გაერთიანების მოწმე ყოფილა, თავისი ნდობა და თანადგომაც არაერთხელ გამოუხატავს პოლიტიკური სუბიექტებისადმი, თუმცა, როგორც „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური პარტიების ლიდერები აცხადებენ, 27 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხი, ამჯერად, პოლიტიკაში მოსული ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილისთვის ნდობის გამოსახატავად მოვიდა.

რა მოლოდინი აქვს ხალხს, რა სჭირდება ქვეყანას და რამდენად შეუსრულდება მას აღქმული ქართული ოცნება, ალბათ, ამაში დასარწმუნებლად გარკვეული დროა საჭირო, მაგრამ როგორია თავად „კოალიციის ლიდერის“ ძირითადი გზავნილები ქართველი ამომრჩევლისადმი და რამდენად სწორი ტაქტიკა აქვს არჩეული ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.

— როგორც ექსპერტი **ხათუნა ლაგაზიძე** **Presage.tv**–სთან ინტერვიუში ამბობს, ივანიშვილმა უკან დასახევი გზა თავადვე მოიჭრა და მიზნის მისაღწევად ერთადერთი შანსი აქვს – ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა.

**— 27 მაისს თავისუფლების მოედანზე უამრავი ადამიანი ვიხილეთ. როგორც კოალიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, ეს იყო თბილისის ამომრჩევლის „გადახედვა“ და ერთად დგომის დადასტურება. მართლაც უამრავი ხალხი გამოვიდა გარეთ, თქვენი შეფასებით, რას ნიშნავს ამხელა მხარდაჭერა თავად კოალიიცისათვის, არის თუ არა ეს უდიდესი პასუხისმგებლობა?**

— 27 მაისს, არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე, თბილისმა ფაქტობრივად, თავისი ხელისუფლება აირჩია. თბილისმა საკუთარი არჩევანი უკვე გააკეთა და ახლა ჯერი რეგიონებზეა. რეგიონების არჩევანზე მართლაც ექნება ბიძინა ივანიშვილს სამუშაო, რადგან რეგიონები გადაწყვეტენ არჩევნების ბედს.

თბილისსა და რეგიონს შორის ამხელა განსხვავებას განსაზღვრავს ის, რომ ქვეყანა ფაქტობრივად, ორ სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეში ცხოვრობს. ერთშია თბილისი და მეორეში დანარჩენი საქართველო. აქედან გამომდინარე, თუ ივანიშვილი შეძლებს, გააფართოებს თბილისის საინფორმაციო ველს და მოიცავს მთელ საქართველოს, მაშინ, მას შეიძლება არჩევნებში ძალზე სოლიდური გამარჯვების იმედი ჰქონდეს.

27 მაისის აქციის წარმატება განაპირობა იმან, რომ დედაქალაქს ხელი მიუწვდება რეალურ ინფორმაციაზე, რაც არ არსებობს რეგიონებში.

ამ დღემ გაზომა არა იმდენად ივანიშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა, არამედ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც საკუთარ თავს აჯობეს. ეს იყო იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც საკუთარი მომავლისთვის საკუთარ შიშს სძლია, იმიტომ, რომ მხარდამჭერთა რაოდენობა შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორთა გამო, ისინი, უბრალოდ, ქუჩაში არ გამოვიდნენ. მაგრამ ის რაოდენობა ადამიანებისა, რომლებმაც საკუთარ თუ სამსახურის დაკარგვის ან სხვა, ათასი რამის შიში დაძლია, ძალიან შთამბეჭდავია საიმისოდ, რომ ვთქვათ - თბილისმა საკუთარი არჩევანი გააკეთა.

**— ბიძინა ივანიშვილმა თბილისი წინასწარ შეამზადა 24 და 25 მაისს ტელეკომპანიების, „კავკასიისა“ და „მაესტროს“ ეთერით გამოსვლისას. თქვენი შეფასებით, რა ძირითადი გზავნილები მიიღო თბილისის ელექტორატმა, რომელმაც, როგორც თქვენ თქვით, სძლია საკუთარ თავს და გარეთ გამოვიდა?**

— „კავკასიის“ ეთერს მე დავარქმევდი უფრო განწყობის შექმნას. ეს განწყობა ორი ძირითადი მიმართულებით გაიშალა. ერთია ის, რომ იგრძნობოდა აბსოლუტურად გადამდები და ყოვლისმომცველი გულწრფელობა, რაც ძალიან მომგებიანია ამომრჩეველთან ურთიერთობისას და დისტანციას – „გამოღმით შენ ხარ, გაღმით მე“ – რაც ხშირ შემთხვევაში არის პოლიტიკოსსა და ამომრჩეველს შორის, ამცირებს და მინიმუმამდე დაჰყავს.

მეორე მიმართულება იმ განწყობისა, რაც შეიქმნა „კავკასიის“ ეთერში, იყო თავდაჯერებულობა. ეს არის ორი ძალზე მნიშვნელოვანი განწყობა, რომელიც რეალურად, გზავნილად მივიდა საზოგადოებამდე.

**— ანუ ივანიშვილი აქამდე ნაკლებად ტოვებდა თავდაჯერებული ფიგურის შთაბეჭდილებას?**

— ივანიშვილს თავდაჯერებულობა არც მანამდე აკლდა, მაგრამ ის, რაც ამ გამოსვლისას ვნახეთ, წინა პერიოდისგან განსხვავებით, იყო ის, რომ ამ თავდაჯერებულობას ჰქონდა გადამდები ძალა, ეს არ იყო მხოლოდ ერთი კაცის თავდაჯერებულობა, რომელსაც თავისი გზის და თავისი წარმატების სჯერა. მაყურებელსა და ივანიშვილს შორის ამ შემთხვევაში თანაგანცდა იყო და ეს თავდაჯერებულობა არ დარჩა მის პერსონალურ შეგრძნებად, ის გადაეცა მსმენელსა და მაყურებელს.

**— როგორ, ფიქრობთ, ასეთი ეფექტი იმ კონკრეტულ თემებზე საუბარმა შექმნა, რაც ხალხს განსაკუთრებით აინტერესებს?**

— აქ არის ერთი არსებითი მომენტი, ივანიშვილმა წინა პლანზე წამოსწია სოციალური თემატიკა. თითქოს ამაში გასაკვირი არაფერი არ უნდა იყოს, რადგან მსოფლიოში წამყვანი სწორედ სოციალური თემატიკაა, მით უმეტეს, ისეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. მაგრამ წინა წლების ქართული ოპოზიციური სპექტრის აქტიურობას თუ გადავხედავთ, მართლაც საოცრება იყო, რომ სოციალურ თემატიკას ისინი გაურბოდნენ. სწორედ ეს იყო არა ერთადერთი და ყველაზე მთავარი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა, ანუ, ისინი ფაქტობრივად, საზოგადოების ძირითად მოთხოვნებს აცდენილები იყვნენ. ამ მრავალწლიანი პაუზის შედეგ ივანიშვილმა კვლავ ასწია სოციალური მოთხოვნების დონე და წინა პლანზე გამოიყვანა.

როგორც ვხედავ, მის საარჩევნო სტრატეგიასა და ტაქტიკაში წინა პლანზე სწორედ სოციალური თემატიკა წამოვა.

ამისი ნიშანი იყო ის, რომ მოლოდინი იქმნება – არავინ იცის, ივანიშვილმა იყიდა თუ იყიდის „თელასისა“ და „ყაზტრანსგაზის“ აქციებს, მაგრამ ის, რომ ამ თემაზე საუბარი დაიწყო და ის, რომ კატეგორიულ უარს არ ამბობს და შეკითხვებს არ გაურბის, იმას ნიშნავს, რომ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინები უნდა შექმნას საზოგადოებაში.

ეს ძირითადი სოციალური მოლოდინები მან ძალიან კარგად გაზომა და იცის, რომ ქველმოქმედების გარდა, ეს იქნება ის ძირითადი მოლოდინი, რომელსაც ივანიშვილი თითოეულ ამომრჩეველში ჩადებს. უკვე გაჩნდა მოლოდინი, რომ გადასახადი, რაც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს, ნებისმიერ შემთხვევაში გადაიხედება და ეს შემცირებული გადასახადის სახით აისახება მის სოციალურ ყოფაზე. სწორედ სოციალური თემების წინ წამოწევა არის მისი წარმატების ყველაზე სოლიდური გარანტი და სწორედ ეს მოლოდინი, „თელასისა“ და „ყაზტრანსგაზის“ ყიდვისა, რაც რეალურად იქმნება მის გარშემო და რასაც თვითონაც უწყობს ხელს თავისი პასუხებით, სწორედ იმისი ნიშანია, რომ ის ზუსტად მიხვდა, რა ენაზე უნდა ელაპარაკოს საზოგადოებას.

**— ანუ ის კომუნიკაცია, რაც ოპოზიციურ პარტიებსა და ხალხს შორის ვერ ხდებოდა, შედგა...**

— ფაქტობრივად, მისი გამოსვლის ფორმა და შინაარსი თანხვედრაში იყო, გამოჩნდა, რომ მან იცის, რა უნდა უთხრას საზოგადოებას და როგორ უნდა უთხრას. როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ თემატიკაზე და იმ ფორმაზე რა ფორმითაც მოხდა ამისი მიწოდება საზოგადოებისადმი, სწორედ აქ ხდება თანხვედრა. ნაციონალურ არხებზე ისმოდა კრიტიკა, რომ არ ყოფილა კონკრეტული დაპირებები და ა.შ. მაგრამ ვფიქრობ, რომ არც იყო ამისი აუცილებლობა. ის სათქმელი, რაც უნდოდა, რომ მიეტანა საზოგადოებამდე, აბსოლუტურად სრულად მიიტანა.

არ აქვს მნიშვნელობა, რა კონკრეტული ფრაზებით იყო გადმოცემული. რაც არ უნდა ჩამოეთვალა მას, ეს იქნებოდა 500-ლარიანი ხელფასი თუ სხვა, მისი გულწრფელობით ეს ყველაფერი განივთდა და მოსახლეობაში მისი ნდობის ხარისხი ამაღლდა. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და სასიცოცხლო პრობლემას შეეხო და აგრძნობინა, რომ მე ვიცი თქვენ რა გაწუხებთ და შეგიძლიათ, მენდოთ ამ საკითხების გადაწყვეტისას.

**— თითქოს „კავკასიის“ ეთერში ივანიშვილმა თქვა ყველაფერი, რაც ხალხს აინტერესებდა, მაგრამ არანაკლები ინტერესი იყო საზოგადოების მხრიდან მეორე დღესაც, როდესაც ის „მაესტროს“ ეთერით გამოვიდა...**

— მაესტროს ეთერში ჩვენ სულ სხვანაირი ივანიშვილი ვიხილეთ, ტრანსფორმაცია 6 თვის წინანდელი ივანიშვილისა, აშკარად თვალსაჩინო იყო. ის ბარიერები, რომელიც მას ჰქონდა მედიასთან ურთიერთობაში, რომელიც ვიზუალურადაც ჩანდა, დაძაბულობაში და ტექსტობრივადაც, ეს ყველაფერი მოხსნილი იყო. ამ შემთხვევაში, სულ სხვა სახით წარსდგა ივანიშვილი ხალხის წინაშე.

აქაც ახალი არაფერი თქმულა და მხოლოდ კონკრეტული მიმართულებებით დაკმაყოფილდა ამომრჩევლის ინტერესი. ითქვა საგარეო კურსის შესახებ, კიდევ ერთხელ დაკონკრეტდა პროდასავლური მიმართულება, კიდევ ერთხელ გაიჟღერა ბურჯანაძის თემამ...

**— სხვათა შორის, ბურჯანაძის თემა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენიდანვე საკმაოდ მტკივნეულია საზოგადოების ერთი ნაწილისთვის...**

— არ მტოვებს განცდა, რომ ეს თემა არ არის ისეთი აქტუალური, ხელოვნურად ხდება მისი გააქტიურება და ეს გამოწვევა შესაძლოა, გარკვეული ტაქტიკაც კი იყოს ამ პოლიტიკური ძალების მხრიდან.

**— რას გულისხმობთ?**

— პრორუსული ელექტორატი, რომელიც ივანიშვილს არ ემხრობა მისი პროდასავლელობის გამო, მაშინ, როდესაც თითოეულ ხმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა – საკითხს ამ კუთხით რომ შევხედოთ, გონიერი პოლიტიკოსი აუცილებლად იფიქრებდა, რატომ დავტოვო ეს ხმები აუთვისებელი. მინიმუმ, რატომ დავტოვო ეს ხალხი სახლში არჩევნებისას. მე თუ მის გემოვნებას არ ვაკმაყოფილებ, როგორც პროდასავლური მიმართულების, ეს ხალხი დარჩება სახლში და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, რასაც ცარიელი ბიულეტენების გაყალბება შეიძლება მოჰყვეს.

ამ ამომრჩეველს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ამერიკაზე განაწყენებული ამომრჩეველი, რომელმაც ამ თავისი იმედგაცრუების გამო, მზერა ისევ რუსეთისკენ მიმართა და ასეთი ცოტა არ არის. რატომ უნდა დარჩეს ამ ამომრჩევლების ხმები გამოუყენებელი, როდესაც არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ ამ ხმებმა მათთვის სასურველი პოლიტიკური ძალები თუნდაც მცირე დოზით, მაგრამ მაინც შეიყვანონ პარლამენტში. ამ ტიპის ელექტორატი არის სწორედ ბურჯანაძე-კუკავა-შაშიაშვილის სეგმენტის ამომრჩეველი და რატომ უნდა დარჩეს ეს ამომრჩეველი ჰაერში, როდესაც ის რეალურად, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველია და არა პროსახელისუფლებო.

**— კიდევ ერთ, რუსულ ორბიტაზე მოტრიალე პოლუსს შესაძლოა, ჰქონდეს პარლამენტში მოხვედრის შანსი და ასეთ შემთხვევაში, ის მკვეთრად ოპოზიციურ ნიშას დაიკავებს.**

შესაძლოა, ეს ტაქტიკაც იყოს, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ანალიზის შედეგია და არანაირი ფაქტობრივი მტკიცებულება არ გამაჩნია.

**— ძალზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი თემა, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა სატელევიზიო ეთერში ისაუბრა, ეს არის კოალიციის უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის თემა, რამაც შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შექმნას...**

— პირველად ამ თემამ გაეროში აშშ-ის ყოფილი ელჩის ფრენკ ვიზნერის ვიზიტისას გაიჟღერა, როდესაც ითქვა, რომ განიხილეს არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული სიტუაცია, არამედ ის დილემაც, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიძლება შეიქმნას და ამაში იგულისხმებოდა სწორედ ორხელისუფლებიანობა.

ეს მართლაც ძალზე სერიოზული პრობლემაა და ამისი გადაჭრის გზებზე, ალბათ, მუშაობენ. თუმცა რამდენად არის შესაძლებელი, პარალიზება მოახდინოს ამ ორხელისუფლებიანობამ ზოგადად, ხელისუფლების ფუნქციონირების თვალსაზრისით, ამისი თქმა ჯერჯერობით, მიჭირს, იმიტომ, რომ ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

თუკი ივანიშვილი აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდა პარლამენტში, ვფიქრობ, რომ არ გაუჭირდება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება. ამ შემთხვევაში ეს ბევრ პრობლემას გადაჭრის და საბაბი და მიზეზი საძებნელი და თითიდან გამოსაწოვი არ იქნება.

**— ალბათ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საკონსტიტუციო ცვლილებების გამოყენებაზე უარის თქმის თემაც...**

— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებით სარგებლობაზე უარი თქვა, ამით, გარდა იმისა, რომ გამოავლინა პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსის მიდგომა საკითხისადმი და აღიარა ის, რომ ყველა ნორმალური სახელმწიფოსა და მოქალაქისთვის კონსტიტუცია უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი პირადი ამბიციები, აქ კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი, ფსიქოლოგიური ფაქტორი გამოიკვეთა – მან ფაქტობრივად, ამ ნაბიჯით გზა მოიჭრა დამარცხებისკენ, უფრო სწორად, საკუთარი გამარჯვების მარჟა გაცილებით მაღლა ასწია. შეიძლება ძალიან უხეში შედარებაა, მაგრამ დიდგორის ომის დროს ქართველ მეომრებს რომ უკან დასახევი გზა ჰქონდათ მოჭრილი, ასე მოუჭრა საკუთარ თავს უკან დასახევი გზა. ამით ივანიშვილმა საკუთარ თავს მიზნად დაუსახა, რომ სულ ცოტა, 2/3-ით უნდა მოვიდეს პარლამენტში, რომ კონსტიტუციით განსაზღვრულ, ორი კვირის ვადაში მოასწროს მოქალაქეობის მიღება და პრემიერ-მინისტრად არჩევა.

ეს იმდენად შეზღუდული ვადაა, რომ მართლაც საკონსტიტუციო უმრავლესობით უნდა მოახერხო პარლამენტში შესვლა, რომ ეს ცვლილებები ასე უცებ განახორციელო.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი ისარგებლებდა ამ ცვლილებით და თეორიულად, თუნდაც ხმების 50 პროცენტს აიღებდა, მას უფრო მშვიდად შეეძლო პარტნიორების ძიება და ბლოკის თუ კოალიციის შექმნა პარლამენტში გასული სხვა პოლიტიკური ძალებისგან, რომ ებრძოლა პრემიერ-მინისტრის პოსტისთვის.

ასეთ შემთხვევაში, მას არ დასჭირდებოდა ბრძოლა მოქალაქეობისთვის და დრო მასზე იმუშავებდა.

ასეთ სიტუაციაში კი ის უბრალოდ, იძულებულია და ვალდებულია, იბრძოლოს 2/3-სთვის, იმიტომ, რომ მან ბევრი რამ უნდა მოასწროს პირველი საპარლამენტო სხდომიდან ორ კვირაში და მას ფაქტობრივად, დროც აღარ დარჩება, პარლამენტში მოლაპარაკებებისა და კონსულტაციებისათვის.

თუკი ივანიშვილი შეძლებს და საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა პარლამენტში, მას ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაც მიეცემა.

თუმცა, ივანიშვილს ელოდება ძალიან რთული ერთი წელიწადი საპარლამენტო არჩევნებიდან საპრეზიდენტო არჩევნებამდე და ამისათვის სჭირდება ძალიან ხარისხიანი საპარლამენტო წარმომადგენლობა. არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ასახვაც, იმიტომ, რომ თუ ორხელისუფლებიანობაზე ვისაუბრებთ, „ნაციონალური მოძრაობა“ 2012-2013 წლების შუალედში არსად წასვლას არ აპირებს და როგორც ვიცით, ეს არის პოლიტიკაში ერთ-ერთი აქტიური ძალა.

„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ოპონენტი და როგორც ოპოზიცია, ეს ურთულესი რამაა და არ არის ასე მარტივად გადასატანი საკითხი, მათი ინტელექტუალური რესურსებიდან გამომდინარე.

ამიტომ, ივანიშვილისთვის არსებითია ისეთი დეპუტაცია, რომელიც შეძლებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ქვეყნის ინტერესების გატარებას და რაშიც აუცილებლად დასჭირდება ინტელექტუალური, პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანები, იმიტომ, რომ ძალიან ძლიერ მეტოქესთან მოუწევს გამკლავება.

**— შეინიშნებოდა თუ არა ივანიშვილის მხრიდან იმ რთული ვითარების რეალური აღქმა, რომელიც არის დღეს ქვეყანაში?**

— მას ამ თავდაჯერებულობის გარკვეული საფუძველი აქვს. თუ თეორიულად დავუშვებთ იმას, რომ ივანიშვილი იყიდის „თელასსა“ და „თბილყაზტრანსგაზს“, ასეთ შემთხვევაში, ის ფაქტობრივად გამარჯვებული ძალაა, მაგრამ თავდაჯერებულობის საფუძველს თბილისი ნამდვილად აძლევს.

ვერ გეტყვით რეგიონებში რა სიტუაციაა, თუმცა რამდენადაც ვიცი, რეგიონებში დღემდე შემორჩენილია საინფორმაციო ვაკუუმი და ივანიშვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა, იმიტომ, რომ მიიღოს ის სასურველი შედეგი, რაც ქმნის საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში.

**ლალი ზირაქაშვილი**

◉ „საყრდენგამოცლილი“ ქვეყანა

# მაგ საკენკს უკვე არვინ აკენკავს!

**შეუთავსებლობა კი არა, ტოტალური მოსმენის, ნულოვანი ტოლერანტობისა და ოპოზიციური აზროვნების შეუწყნარებლობის სააკაშვილისეული პოლიტიკის მორიგი დემონსტრირება!**

**რატომ ასეთი კატეგორიული „თავსაბურავი“ ამ წერილისა? იმიტომ, რომ უკვე არ არის მიეთ-მოეთებისა და მიკიბვ-მოკიბვის დრო. უფრო სწორად ის დროა, როცა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.**

ნაციონალური მოძრაობა რომ არ არის და არც ოდესმე ყოფილა ისეთი „მონოლითური“, როგორადაც სურთ წარმოგვიჩინონ, და მისი „გაუზზარაოზა“ თვით მის წიაღშიც ოდენ მიყურება-დაშინების შედეგი იყო, ეს ნაცთა ზეობის საწყის ეტაპზევე გამოჩნდა. გეხსომებათ, როგორ ლამის ზომბივით გასკდა მაშინდელი საფინანსო პოლიციის შეფის დავით კეზერაშვილის სატელეფონო საუბრების სკანდალური აუდიოჩანაწერი.

კეზერაშვილს მაშინ უბრალო მოკვდავთაგან ვერავინ რომ ვერ დაუმონტაჟებდა კაბინეტში მოსასმენ მოწყობილობას და ამისთვის, სულ მცირე, „იმ ვანოს“ ნება-სურვილი იქნებოდა საჭირო, თანაც „თლად უფროსის“ თუნდაც ჩუმი თანხმობით, ფაქტია.

ისიც გეხსომებათ, პარლამენტში გამოსვლისას ლამის ხმის ჩახრენწამდე როგორ მოითხოვდა სააკაშვილი სამართალდამცავთაგან ნულოვან ტოლერანტობას!

იგივე სააკაშვილი იმთავითვე რომ ვერ იტანდა „განსხვავებულად“ მოაზროვნეებს, „მოყიყინეებს“, „ჩარეცხილებს“ და მათნაირებს, ესეც ყველამ ვიცით.

**დიახ, ყოველივე ეს „იმთავითვე“ იყო, მაგრამ მაშინ „კრონოსს“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული საკუთარი შვილების შეხრამუნება.**

**მაგრამ როგორც კი იგრძნო, რომ ზოგიერთმა „შვილმა“ („შვილიშვილმაც კი“) განზე დაიწყო ყურება და ფსკერდაზიანებული ხომალდის გემბანიდან „სკუპისთვის“ მზადება, კბილები აილესა.**

ისედაც ხასიათდაულაგებელს თანამებრძოლთა შესაძლო ღალატმა, როგორც ჩანს, საერთოდ დაუბნელა გონი.

ყოველ შემთხვევაში იმ დონემდე მაინც, რომ ამ სამიოდე წლის წინათ თავისივე ნათქვამი დაავიწყდა.

იმ სიტყვა-შეფასებებზე მოგახსენებთ, რომლებითაც მიხეილ სააკაშვილმა 2009 წელს თავისი ახალგახსნილი რეზიდენციის **(დღემდე ვერაფრით გამიგია, რატომ დაიხარჯა საამისოდ ასობით მილიონი დოლარი, როდესაც ქვეყანას ამდენი პრობლემა აქვს და ამდენი უბრალოდ გაჭირვებული კი არა, საერთოდ უპოვარი ადამიანი ჰყავს!)** სახურავზე ქალბატონ მაია მიმინოშვილს მიმართა: **„თქვენზე და თქვენნაირ ადამიანებზე დგას ეს ქვეყანა. მადლობას გიხდით იმისთვის, რასაც ასე წარმატებით ახორციელებთ“.**

**რა მოხდა მერე, ბატონო პრეზიდენტო, რამ დაგავიწყათ თქვენივე სიტყვა-პოზიცია და რად გამოაცალეთ ქვეყანას ერთი „საყრდენთაგანი“?**

– პრეზიდენტი რა შუაშია, მაია მიმინოშვილი ხომ მან კი არა, განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გაათავისუფლა თანამდებობიდან სამინისტროს პოლიტიკასა და მაია მიმინოშვილის პირად პოზიციას შორის პრინციპული შეუთავსებლობის გამოო, – შეიძლება ყელშიც მწვდეს რომელიმე სტაჟიანი ყვითელავტოზუსელი მანდილოსანი.

შეუთავსებლობა არა, ისაო! – იტყოდა, ალბათ, ამაზე მიხო.

**რაღა მაინცდამაინც ახლა, „ქართული ოცნების“ 27 მაისის გრანდიოზული აქციის შემდეგ, რომელშიც ქალბატონი მაიას დაოჯახებული ვაჟის მონაწილეობის შესახებ გაუგიათ მიყურადებულ „ასინეთებს“, გამოსკდა ეს „პრინციპული შეუთავსებლობა?“**

**ან იმას ვინ ჭამს, რომ ეს შაშკინის დამოუკიდებელი ნება-სურვილით გაკეთდა?**

თუმცა ერთი წუთით დაუშვებელიც რომ დავუშვათ და ეს მართლაც შაშკინის გაკეთებულად ჩავთვალოთ, მაშინ იგი თავად არის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გასათავისუფლებელი, რადგან მისი გვარის ხალხის წვლილიც არის შეტანილი ერთი კარგი ფრთიანი ფრაზის შექმნაში – **„ნა პერეპრავე კანეი ნე მენიაიუტ“**.

„პერეპრავა“ კი უკვე რეალობაა – სკოლებში დაწყებული და უმაღლესებში მალე დასაწყები გამოცდები.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებმაც პროტესტის ნიშნად თანამდებობები დატოვეს, ამ უსამართლობის აღსაკვეთად პრეზიდენტს მიმართესო განცხადებით, გავრცელდა გუშინ ინფორმაცია.



ამან უკვე ქართული ფრთიანი გამოთქმა გამახსენა: – **ვის უჩივიო? – ბატონსო. – ვისთან უჩივიო? – ბატონთანო(?!).**

ნეტარ არიან ისინი, ვისაც სწამს, რომ ეს გადაწყვეტილება დიმა შაშკინმა „უბატონოდ“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მასთან შეუთანხმებლად მიიღო.

თუმცა არა მგონია, ეს ვინმეს სჯეროდეს – მაგ საკენკს უკვე არვინ აკენკავს!

**და რახან ასეა, „კრონოსს“ უკვე დაუწყია „ურჩი“ შვილების ჭამა.**

> **მაგრამ ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია: აქამდე ხალხს განსხვავებული აზრისთვის სამსახურიდან გათავისუფლებით აშინებდნენ, დღეის ამას იქით კი, როცა ხალხმა თავად დაიწყო პროტესტის ნიშნად „საფრთხობელების“ დატოვება, „კრონოსს“ და კრონოსელებს დიდი კოზირი გამოეცლებათ ხელიდან.**
> **ასეთ შემთხვევაზე უთქვამს ლენინს, ყინული დაიძრაო!**

**რუსლან რუსია**

◉ ვითარება

# აქვს ზნეობას ორმაგი სტანდარტი?

**დემოკრატმა ლუციფერმა დიმა შაშკინმა მაია მიმინოშვილს დედობა არ აპატია?**

**„მე ვიცი, რომ წელს თქვენი შვილი სამაგისტრო გამოცდას აბარებდა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა. მესმის, რომ დედისთვის ეს არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მე ამ ფაქტით ვამაყობ. თქვენ შეგეძლოთ, საკუთარი შვილისთვის ტესტები გეჩვენებინათ, მაგრამ ეს არ გააკეთეთ, რაც ნიშნავს, რომ დღეს ვისი შვილიც არ უნდა იყო, თუ ცოდნა არ გაქვს, უმაღლესში ვერ მოხვდები. ვერც რუსეთმა და ვერც უკრაინამ მსგავსი სისტემის შექმნა ვერ შეძლეს. მათ ამის ნება არ ეყოთ“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2009 წელს ეროვნული გამოცდების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელთან მაია მიმინოშვილთან შეხვედრისას.**

თუმცა ეს იყო 2009 წელს. ამის შემდეგ კი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნავს ხოლმე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, დიდი დრო გავიდა, რეზიდენციის წინ მტკვარმა ბევრი წყალი ჩაატარა და მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, კერძოდ კი განათლების მინისტრი დიმა შაშკინი მაია მიმინოშვილით არ ამაყობენ.

ოფიციალურად ეს „ვერსიამაყე“ ასე ჟღერს, **„საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარეობს არაერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.**



**სამწუხაროდ, რეფორმების განხორციელების პროცესში შეიქმნა პრინციპული შეუთავსებლობა განათლების სამინისტროს პოლიტიკასა და მაია მიმინოშვილის პირად პოზიციას შორის.**

**გამოცდების ეროვნული ცენტრი აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში და უზრუნველყოფს საატესტატო გამოცდების შეუფერხებლად მიმდინარეობასა და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას“.**

> **უკასრავად, მაგრამ რომელი კანონით რეგულირდება პრინციპული შეუთავსებლობა? სამოქალაქო, შრომის კანონთა, მანდატურების, სასჯელაღსრულების, პოლიტიკური არასანდოობის (ასეთი დაუწერელი კანონიც არსებობს), თუ უვიცი და სფეროში ჩაუხედავი მაღალჩინოსანისთვის საკუთარი კონცეპტუალური ხედვის მიწოდებით? ან იქნებ იმ კანონითა თუ ნორმით, რომელსაც „შაშკინიადა“ ჰქვია, ანუ მე ვარ და ჩემი ნაბადის პრინციპით? იქნებ სულაც რომელიმე მანდატურის დასაწინაურებლად გაკეთდა ყოველივე, რომელმაც რომელიღაც სკოლაში ტერორისტული აქტი აღკვეთა?**

მიმინოშვილის სიძლიერეზე თავად განათლების სამინისტროს განცხადება მეტყველებს. ადამიანს, რომელსაც პრინციპული შეუთავსებლობა ჰქონდა განათლების სამინისტროს პოლიტიკასათან, ეს საკითხი საჯარო არასოდეს გაუხდია. რამდენი ასეთი კადრი „დაიქნია“ 2003 წლის მერე ხელისუფლებამ და რამდენი მათგანი იდგა და თანაუგრძნობდა გუშინ „ქართულ ოცნებას“.

როგორც ირკვევა, პრინციპული შეუთავსებლობა 27 მაისს, მაია მიმინოშვილის ვაჟის „ქართული ოცნების“ აქციაზე მისვლა ყოფილა. ეს, ალბათ, შაშკინისეული დემოკრატიაა, რომლის საფუძველი კომუნისტურ იდეოლოგიას უფრო ეყრდნობა. ცხადია, ეს შაშკინმაც იცის და ისიც იცის, რომ პავლიკა მოროზოვები ვერ ააშენებენ ამ ქვეყანას. რა მოითხოვეთ „შაჰ-აბასივით“ მიმინოშვილისგან, შვილის თავი? 2003 წლის შემდეგ რაც ცოდვა დატრიალდა ამ ქვეყანაზე, აღარ ჩამოვთვლი, მაგრამ განა ეს ერთი ფაქტი არ მეტყველებს იმაზე, რომ მზად ხართ შვილებს უთხრათ, მშობლები დახვრიტეთო და მშობლებს კი შვილების თავები მოსთხოვოთ?

ისიც კი არ იკადრეთ, ღიად გეთქვათ ადამიანისთვის სიმართლე – რატომ და რისთვის გაათავისუფლეთ.

**„თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პირადად მინისტრისგან დღეს გავიგე, რაც სრულიად მოულოდნელი იყო. არ მესმის, რას ნიშნავს პრინციპული შეუთავსებლობა. ახლა მთლიანად ორიენტირებულები ვიყავით გამოცდებზე და მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ საქმეს არცთუ ცუდად ვაკეთებდით. მე ჩემი მოსაზრება მქონდა განათლების სისტემასა და გამოცდების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და ამის უფლება ყველას აქვს. თუ ამას გულისხმობდა მინისტრი პრინციპულ შეუთავსებლობაში, ეს მისი პირადი პრობლემაა“,** – განუცხადა „ჯიეიჩ-ენს“ მაია მიმინოშვილმა.

> **და ბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, რა ვუყოთ ახლა, დიმა შაშკინის ბოლმანარევ ქმედების შემდეგ, თქვენს ნათქვამ სიტყვებს, რომლითაც მაია მიმინოშვილს მიმართეთ ავლაბრის რეზიდენციაში მთელი ქვეყნის გასაგონად? „თქვენზე და თქვენნაირ ადამიანებზე დგას ეს ქვეყანა. მადლობას გიხდით იმისთვის, რასაც ასე წარმატებით ახორციელებთ“.**

**ერთადერთი მორალს და ზნეობას არ აქვს ორმაგი სტანდარტი. ან იქნებ აქვს და ამის განმარტება დემოკრატმა ლუციფერმა – დიმიტრი ნიკოლოზის ძემ გააკეთოს, რომელმაც დედას დედობა არ აპატია, შვილს კი დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევანი!**

**გოჩა მირცხულავა**

◉ ინფორმაცია თემაში

### არაფერზე – გარდა გამოცდებისა

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზებით დაინტერესდა, განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა. მისივე თქმით, შეხვედრა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით შედგა.**

**კითხვაზე, ფიქრობს თუ არა „ქართულ ოცნებაში“ გაწევრებაზე, მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ არაფერზე ფიქრობს, გარდა გამოცდების კარგად დასრულებისა. ამისთვის იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ცენტრის თანამშრომლები გამოცდების დასრულებამდე სამსახურში დარჩნენ. მანვე დასძინა, რომ იგი არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან გაერთიანებას არ გეგმავს.**

### საქმეს არ დავაზარალებთო!

**დიმიტრი შაშკინს „პრინციპული შეუთავსებლობა“ აქვს არა მარტო მაია მიმინოშვილთან, არამედ ცენტრის თანამშრომლებთანაც, – აღნიშნულია გამოცდების ეროვნული ცენტრის უკვე ყოფილი თანამშრომლების განცხადებაში, რომელთაც პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვეს.**

**მათი განცხადებით, მათთვის კატეგორიულად მიუღებელია მაია მიმინოშვილის სამსახურიდან გათავისუფლება, რაც გაუგებარი მიზეზით მოხდა.**

> **„ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისა და მინისტრის გუშინდელ შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა ვერ მოიყვანა ვერც ერთი არგუმენტი იმის სადემონსტრაციოდ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება მინისტრისა და მაია მიმინოშვილის „შეუთავსებლობა“. საბოლოოდ კი, არსებითად ის გვითხრა, რომ მან გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და მისი ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს არგუმენტირებას, – განაცხადა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის ხელმძღვანელმა კახა ჯამბურიამ, რომელმაც ჟურნალისტებს ცენტრის თანამშრომელთა განცხადება გააცნო.**

> **„საზოგადოების წინაშე ჩვენი ზნეობრივი ვალი გვაიძულებს განვაცხადოთ, რომ აღნიშნულ პირობებში შეუძლებლად გვესახება ჩვენი მოვალეობის სათანადოდ შესრულება. მიგვაჩნია, რომ ამ ორგანიზაციის ყველა წევრი მაია მიმინოშვილის ხელმძღვანელობით პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას საქართველოს თითოეული მოქალაქის წინაშე. დღეს კი, ჩვენს მოქალაქეობრივ ვალად მიგვაჩნია დავტოვოთ დაკავებული თანამდებობები და ამავდროულად, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ არ დაზარალდეს არც ერთი მოსწავლე, აბიტურიენტი, პედაგოგი. შესაბამისად, მზად ვართ კანონით გათვალისწინებულ ვადებში, არსებული წესის თანახმად, გადავცეთ მონაცემთა ბაზა და შეფასებითი კრიტერიუმები ჩვენს შემცვლელებს. მაია მიმინოშვილი შესანიშნავად უძღვებოდა გამოცდების ეროვნულ ცენტრს დღიდან მისი დაარსებისა, 2002 წლიდან. გაგებით ვეკიდებით, თუმცა არ ვეთანხმებით მის სურვილს, გავაგრძელოთ მუშაობა ახალ პირობებში. მომავალ გამოცდებში დაფიქსირებულ ნებისმიერ შედეგზე პერსონალური პასუხისმგებლობა თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა იკისრა“, – ნათქვამია განცხადებაში.**

**ამასთან, თანამშრომლების განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა საჯარო წესით უნდა განუმარტოს საზოგადოებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი მაია მიმინოშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება სწორედ 28 მაისს და არა ორიოდე თვით ადრე ან – გვიან.**

**მათივე ცნობით, ამ დროისთვის თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება 60-მა თანამშრომელმა დაწერა, თუმცა პროტესტს კიდევ უფრო მეტი იზიარებს, რომლებიც ამ დროისთვის რეგიონებში იმყოფებიან და მათ განცხადებას ხელმოწერით თბილისში დაბრუნების შემდეგ შეუერთდებიან.**

**გამოცდების ეროვნულ ცენტრში სულ 170 ადამიანი მუშაობს.**

**ინტერპრესი**

# აბსურდის აღლუმი



## პარლამენტის ქუთაისში გადატანას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან და ეკონომიკის სავარაუდო ზრდასთან არანაირი კავშირი არა აქვს

თბილისში გამართული „ქართული მრეწველობის აღლუმის“ შედეგებზე, ქუთაისში პარლამენტის გადატანასათან დაკავშირებით და დამოუკიდებლობის დღისადმი ჩატარებულ ღონისძიებებზე **„ინტერპრესნიუსი“** ეკონომიკის ექსპერტს **ლადო პაპავას** ესაუბრა.



**— ბატონო ლადო, გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები თბილისში ჩატარებულ „ქართული მრეწველობის“ აღლუმზე — დამზადებულია საქართველოში“.**

— რეალურად, სამრეწველო პროდუქციის ასეთი აღლუმის ჩატარება უაზრობაა. სამრეწველო პროდუქციის ყველაზე კარგი „აღლუმია“, როცა ეს პროდუქცია მაღაზიაში დახლზეა. მომხმარებელი ამ „აღლუმს“ ყოველდღე უნდა ხედავდეს. სამრეწველო პროდუქციების გამოფენები კი იმართება, მაგრამ ამისთვის არის საგამოფენო დარბაზები და პავილიონები და არ უნდა იკეტებოდეს დედაქალაქის მთავარი ქუჩა. „მრეწველობის აღლუმი“ ძალიან ჰგავდა პიარაქციას. შეგახსენებთ, რამდენიმე წლის წინათ რუსთაველზე და ყველა დიდ ქალაქში ჩატარდა ღონისძიებები „მთავრობის ანგარიში ხალხს“. რასაც „მრეწველობის აღლუმი“ ეწოდა, ჩემი აზრით, ძალიან პრიმიტიული პიარი იყო. მთავარია, რომ ქართული პროდუქცია, იქნება ეს სასოფლო სამეურნეო თუ სამრეწველო, უნდა იყოს წარმოდგენილი სავაჭრო ცენტრებში და მის არსებობასა და ავკარგიანობას მოსახლეობა თავად შეაფასებს.

**— ბევრი ვეცადეთ, მაგრამ „მრეწველობის აღლუმის“ ორგანიზატორებისგან ვერ მივიღეთ პასუხი კითხვაზე — რამდენი მილიონი ლარის პროდუქციას ამზადებს ქართული მრეწველობა? რამდენად აკმაყოფილებს შიგა ბაზარს და რამდენია ქართული მრეწველობის წილი ბიუჯეტში, მათ შორის ექსპორტირებული პროდუქციისგან? ეკონომიკის სამინისტრომ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გადაგვამისამართა. ამ სამსახურის საიტიდან ამ კითხვებზე ბევრი ვერაფერი გავარკვიეთ, იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ...**

— საქმეც იმაშია, რომ რეალურად დიდად სატრაბახო ბევრი არც არაფერი გვაქვს. ჩვენს ეკონომიკაში არსებული ვითარების ყველაზე კარგი სარკე ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსია, რომელიც კატასტროფულად უარყოფითია. იმპორტი ლამის 4-ჯერ მეტია ექსპორტზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საექსპორტოდ საქართველოს პრაქტიკულად ბევრი არაფერი გააჩნია. ექსპორტის 23% არის მსუბუქი ავტომობილები. მოგეხსენებათ, რომ საქართველო მსუბუქ ავტომობილებს არ აწარმოებს, ამიტომ ეს ექსპორტი ის იმპორტირებული უცხოური წარმოების ავტომობილებია, რომლებიც განბაჟებამდე ვერ გაიყიდა, მათი განბაჟების შემდეგ ქვეყნიდან გატანა კი — როგორც ექსპორტი ისე დაფიქსირდა. გამოდის, რომ ავტომობილების სახით ქვეყნის ექსპორტის მეხუთედზე მეტი საქართველოში წარმოებული არ არის. ამას თუ დავუმატებთ კიდევ ჯართს, რომელიც ექსპორტის 8%-ს შეადგენს, გამოდის, რომ ექსპორტის მესამედამდე, ისედაც მწირ მთლიან ექსპორტში, არაქართული წარმოებისაა. ამ თვალსაზრისით, ვითარება სავალალოა. პირველი, რაც უნდა გააკეთოს მთავრობამ, აქტიურად უნდა იმუშაოს საგარეო სავაჭრო ბალანსის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

**— ვერც იმის დადგენა ვერ მოვახერხეთ, აღლუმში მონაწილე 270-მდე საწარმოში რამდენი ადამიანია დასაქმებული და რამდენია ამ საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა საშუალო ხელფასი.**

— ეს ყველაფერი ჩვენი ქართული სტატისტიკის პრობლემაა. თუ მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება „მრეწველობის აღლუმის“ ჩატარებაზე, აუცილებელი იყო, რომ ეს ინფორმაცია წინასწარ მოემზადებინათ და სტატისტიკის სამსახურს მედიისთვის მიეწოდებინა. სამწუხაროდ, სტატისტიკა იმ მცირე დაფინანსების პირობებში, რომელიც აქვს, საკმაოდ მძიმე ვითარებაშია და ჩვენ იმის გაკეთებას ვერ მოვთხოვთ, რომელიც ამ ეტაპზე არ შეუძლია.

**— გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ იყო „ქართული მრეწველობის აღლუმის“ ორგანიზატორი თბილისის მერია და არა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო...**

— ეს ღონისძიება იმდენად აბსურდული იყო, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იქნებოდა მისი ორგანიზატორი. შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ ღონისძიება თბილისში ჩატარდა. ის, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მედიას ვერანაირ ინფორმაციას ვერ აწვდის და სტატისტიკის სამსახურში ამისამართებს, ნიშნავს, რომ სამინისტრო საქართველოს ეკონომიკაში არსებული ვითარების ცოდნიდან საკმაოდ შორსაა.

**— როგორ შეაფასებდით ქუთაისში გამართულ ღონისძიებებს? ქუთაისში ჩატარებულ სამხედრო აღლუმსა და იმას, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის მშენებარე შენობაში გამართულ პირველ საზეიმო სხდომაზე ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქად გამოაცხადა?**

— პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ მოსაზრება მე არაერთხელ გამომითქვამს. ამ გადაწყვეტილებით თბილისი, როგორც დედაქალაქი, თანდათანობით დაკარგავს თავის ფუნქციას. თბილისი ყოველთვის საქართველოს გამაერთიანებელი იყო. ასე იყო, ასე არის და ღმერთმა არ ქნას, რომ ასე არ იყოს. დედაქალაქის ფუნქციების სხვადასხვა ქალაქებში გადატანა, რა თქმა უნდა, საქართველოს მთლიანობას ზიანს აყენებს. თბილისის, როგორც დედაქალაქის დაკნინება კარგა ხანია დაიწყო. ეს მაშინ დაიწყო, როცა ბათუმში გადაიტანეს საკონსტიტუციო სასამართლო. ქუთაისის საპარლამენტო დედაქალაქად გამოცხადება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგანაც საქართველოს ახალ კონსტიტუციაში საქართველოს პარლამენტის ადგილად განსაზღვრულია ქუთაისი.

რაც შეეხება ქუთაისში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან როდესაც მას უკვე კონსტიტუციით აქვს განსაზღვრული დედაქალაქის (თუნდაც საპარლამენტოძ სტატუსი, ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებაც ბუნებრივი უნდა იყოს. ცუდია, რომ ამ ღონისძიებებით ქუთაისის მცხოვრებლებს შეექმნებათ ილუზია, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანით ქალაქი აყვავდება. ასე ქვეყანა არ შენდება. სამწუხაროდ, ეს გზა საკმაოდ ძვირადღირებულია და ქვეყნის მთლიანობაზე გათვლილი არ არის.

**— თქვენი აზრით, რამდენად რეალისტურია პრეზიდენტის განცხადებები, რომლის თანახმადაც, პარლამენტის ქუთაისში გადატანით ქვეყანაში მოხდება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, ეკონომიკური ზრდა ყველა ოჯახში შეაღწევს, საქართველო რეგიონის ეკონომიკურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცევა?**

— აქ ძალიან ბევრ ურთიერთგამომრიცხავ რამესთან გვაქვს საქმე. პარლამენტის ქუთაისში გადატანა სულაც არ ნიშნავს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. დეცენტრალიზაცია მაშინ იქნებოდა, თუ ადგილობრივ ხელისუფლებასა და მმართველობის ორგანოებს მეტი უფლებები მიეცემოდათ. სინამდვილეში ასე არ არის. მერის არჩევნები მხოლოდ თბილისით შემოიფარგლა. მერის არჩევნები ყველა დიდ ქალაქში უნდა ტარდებოდეს. ეს იქნებოდა ხელისუფლების დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი. დეცენტრალიზაციის მონაპოვარი იქნებოდა, თუ ადგილობრივი ხელისუფლებას მეტი დამოუკიდებლობა მიეცემოდა და ისინი უშუალოდ არ იქნებოდნენ მიბმული ცენტრალურ ბიუჯეტიდან მისაღებ ტრანსფერებზე. ახლა პრაქტიკულად ფინანსთა სამინისტრო მართავს მთელ ქვეყანას. ამიტომ, პარლამენტის ქუთაისში გადატანას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან და ეკონომიკის სავარაუდო ზრდასთან არანაირი კავშირი არ აქვს. დეცენტრალიზაცია პირველ რიგში ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლებისათვის გარკვეული უფლებების რეგიონებში დელეგირებას.

**გაუგებარია, რა კავშირშია პარლამენტის ქუთაისში გადატანა ეკონომიკურ ზრდასთან. ამაზეა სწორედ ნათქვამი — „საიდან სადაო, წმინდაო საბაო“. ის, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანის გამო საქართველო რეგიონის ეკონომიკურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცევა, ძალიან საეჭვო მტკიცებაა.**

საქმე იმაშია, რომ რეგიონის, ანუ კავკასიის ეკონომიკურ და ფინანსურ ცენტრად საქართველო თუნდაც იმიტომ ვერ გადაიქცევა, რომ ასეთი ცენტრი ბაქოს სახით უკვე ჩამოყალიბებულია. აზერბაიჯანი ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ამით უკვე აქვს მოპოვებული რეგიონში ეკონომიკური და ფინანსური ცენტრის სტატუსი. კავკასიის ცენტრის ფუნქციას არა ერთი საუკუნე თბილისი ასრულებდა. „ვარდისფერი“ ხელისუფლება თბილისს აკნინებს და ასეთ ვითარებაში თბილისის კავკასიის ცენტრად ჩამოყალიბება ძნელი წარმოსადგენია. რაც შეეხება საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევის პერსპექტივას, ქვეყანა, სადაც საუნივერსიტეტო განათლება პრაქტიკულად მოშლილია და უნივერსიტეტი განადგურების პირასაა, როგორ უნდა იქცეს კავკასიის საგანმათლებლებო ცენტრად, ყოვლად გაუგებარია. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს შანსი გააძლიეროს, მაგრამ ქუთაისში პარლამენტის გადატანას არაფერი საერთო არ აქვს ქვეყნის ეკონომიკურად და ფინანსურად გაძლიერებასთან.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს პრეზიდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებები — „ახლა უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ქვეყნისა და ხალხის წინაშე“ და „თქვენ არ გთხოვთ 2015 წლამდე დაგვაცადოთ, ქართველი ხალხი დაგვაცდის“?**

— ამ განცხადებით, სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მას აქვს ამბიცია დარჩეს ხელისუფლებაში. რაც შეეხება იმას, რომ იგი მეტ პასუხიმგებლობას გრძნობს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ეს სულაც არ არის ცუდი, მხოლოდ მივესალმები ასეთ გამონათქვამს, თუ ის გულწრფელადაა ნათქვამი.

**— სააკაშვილი ოპონენტებზე საუბრისას ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ არასოდეს არ ახსენებს, მაგრამ გულისხმობს და სწორედ მათზე ამბობს, რომ მათ სურთ ქვეყანაში რუსეთის სასარგებლოდ ვითარების არევა...**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ძალასთან პირდაპირ ღია დაპირისპირებაზე არ გადადის, შესაძლოა, ხვდება, რომ ეს მისთვის წამგებიანი აღმოჩნდეს, თუმცა, ძალიან პრიმიტიულ მინიშნებებს აკეთებს. როცა სააკაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ რუსულ ფულს სუნი არ ასდის და ამიტომ რუსული კაპიტალის საქართველოში შემოსვლა საფრთხეს არ წარმოადგენსო, საინტერესოა სააკაშვილის ხელს სხვისკენ რატომ იშვერს. მით უმეტეს, რომ იგი თავადაც მიესალმება საქართველოში რუსული ინვესტიციების შემოსვლას. ასე რომ, ამ შემთხვევაში ივანიშვილისკენ ხელის გაშვერა მხოლოდ ღიმილის მომგვრელია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც რეალურად ხედავს იმას, თუ რა ხდებოდა წლების განმავლობაში საქართველოში და ახლაც რა ხდება.

**კობა ბენდელიანი**

### ◉ წკეპლიკები

## ჩვენ ასპირანტი ქვეყანა ვართ?!

**მოგეხსენებათ, თავის დროზე „მაპი“ არ გვაკადრეს, უფრო მაღალი რანგის ღირსი ხართო, ისე „მაპი“ რა იყო, ისიც არ ვიცოდით. ჩვენ ეს ასპირანტობაც არ ვიცით, რას ნიშნავს. ვიცით მხოლოდ ის, რომ ასპირანტი რომ ხარ, ჯერ სავალდებულო გამოცდები უნდა ჩააბარო, თუ ჩააბარებ, შემდეგ საკანდიდატო დისერტაცია უნდა დაიცვა, შემდეგ თუ შეძლებ — სადოქტორო.**

**ჩვენ პირდაპირ სადოქტორო დავიცავით, ჩვენ ხომ საოცრად „შუსტრები“ ვართ, თან მასალა, იცოცხლე, ბევრი გვაქვს. კარგად ვიცით, როგორ განვახორციელოთ „ნულოვანი ტოლერანტობა“, როგორ ჩამოვართვათ ხალხს კანონდარღვევით კერძო საკუთრება, როგორ ვებრძოლოთ თავისუფალ სიტყვას, პოლიტიკურ ოპონენტებს, მეცნიერებას, განათლებას, ეროვნულობას, როგორ ვაზეიმოთ დიდი ტყუილი, უზნეობა, ძალადობა.**

**არა, არ გვინდა ასპირანტობა, პირდაპირ დოქტორობა მოგვანიჭეთ!**

## საქართველოს კონსტიტუციის საჩივარი

**გაუპატიურობაზე ყურმოკრულად რაღაც კი გამიგია, მაგრამ კონსტიტუციის გაუპატიურება და ისიც ასე ხშირად, ნამდვილად არა. მე ხომ ქვეყნის ძირითადი კანონი ვარ და არა იაფფასიანი მეძავი. ამიტომ გადავწყვიტე, ვიჩივლო სტრასბურგში, მაგრამ ალბათ, ველარ მოვასწრებ, ჩემგან მალე აღარაფერი აღარ დარჩება.**

SOS!

**ლონდა მდივანი**

გამარჯვებული გონება

# მეცნიერი საერთაშორისო ავტორიტეტით...

## აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე - 70



**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოში ბიოტექნოლოგიის ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს გიორგი კვესიტაძეს 70 წელი შეუსრულდა.**

გიორგი კვესიტაძე დაიბადა ქ. თბილისში 1942 წლის 30 მაისს მოსამსახურის ოჯახში. 1949 წელს შევიდა და 1959 წელს დაამთავრა 56-ე საშუალო სკოლა. ამის შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და საასპირანტო კურსის გასავლელად გაიგზავნა მოსკოვს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ა.ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში. 1969 წელს გ.კვესიტაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც იყო უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1980 წელს გ.კვესიტაძე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ა.ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციას.

1987 წელს გ. კვესიტაძე დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორად.

1983 წლიდან იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე ბიოლოგიური ქიმიის დარგის ცნობილი სპეციალისტია. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების სტაბილური ფერმენტების შესწავლა: პროდუცენტების სელექცია, მოქმედების მექანიზმის დადგენა და მაღალი სტაბილურობის განმსაზღვრელი მიზეზების გამოვლენა, ხსნადი და იმობილიზებული ფერმენტებით მცენარეული ბიოპოლიმერების ფერმენტული დესტრუქციის კვლევა. გ.კვესიტაძეს ჩატარებული აქვს მნიშვნელოვანი კვლევები ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიის პრობლემების ფართო სპექტრში (დაწყებული გენეტიკურად სტაბილური მუტანტების მიღებიდან მათ მიერ წარმოებული ფერმენტების დეტალურ დახასიათებამდე). მის მიერ ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიის მრავალ პრობლემაზე შესრულებულ მნიშვნელოვან კვლევათა შედეგებმა სამეცნიერო წრეებში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გ.კვესიტაძემ წარმატებით განავითარა და ახალი მონაცემებით გაამდიდრა მიკრობული წარმოშობის ამილოლიზური ფერმენტების მიმართულება, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მის მიერ მჟავამედეგი ამილაზის არსებობის დადგენა, რომელიც იაპონელ პროფესორ ტ.მინოდასთან ერთდროულად აღმოაჩინა 1969 წელს. ამ ფერმენტის წარმოება გ.კვესიტაძის ხელმძღვანელობით პირველად ლატვიის ქ. ოლაინესის ქარხანა „რეაქიმში" დაიწყო. ოთხი წლის შემდეგ ამ ფერმენტის მიღების და გამოყენების ხერხი დაპატენტებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1974 წელს კი — შვეიცარიასა და გერმანიაში.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გ.კვესიტაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების ფერმენტების მიზანმიმართული შესწავლა და ამის საფუძველზე ოპტიმალური ბიოტექნოლოგიების შერჩევა და მათი გამოყენება. ნაშრომთა ამ ციკლს 1986 წელს, მოსკოვში, წილად ხვდა დიდი წარმატება — ცნობილ მეცნიერთა შეკრებაზე („44 Баховское чтение"), ავტორის მოხსენებამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ოთხმოციან წლებში აკადემიკოსმა გ.კვესიტაძემ დაიწყო მნიშვნელოვანი კვლევები მიკროორგანიზმებისა და მცენარეების დეტოქსიკაციური პოტენციალის დასადგენად. მისი დიდი დამსახურებაა ამ კვლევებისათვის ტექნოლოგიური სახის მიცემა. ბიოტექნოლოგიის დამუშავებისათვის ქართველი მეცნიერი 2008 წელს აირჩიეს შტატ ჯორჯიას (აშშ) საპატიო მოქალაქედ, რაც მეტყველებს გ.კვესიტაძის საერთაშორისო მეცნიერულ ავტორიტეტზე. ამაზევე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი ხელმძღვანელობით შესრულებული მონოგრაფია — „დეტოქსიკაციის მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძვლები" — გერმანიის ცნობილმა გამომცემლობამ („Springer") 2006 წელს გამოსცა.

აკადემიკოს გ.კვესიტაძის მაღალ საერთაშორისო მეცნიერულ ავტორიტეტზე მეტყველებს აგრეთვე მისი წარმატებული მოღვაწეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და ფინეთში, საფრანგეთსა და ესპანეთში; ექსპერტის სტატუსით ნაყოფიერი თანამშრომლობა NATO-ს სიცოცხლისა და ტექნოლოგიების მეცნიერების განყოფილებასთან (1992-2000 წწ.); ამავე წლებში საფრანგეთისა და ისრაელის Hi-Tech-ის ასოციაციასთან; 2000 წლიდან კი — ევროსაბჭოსთან.

აღსანიშნავია, რომ 1983 წელს გ.კვესიტაძის ხელმძღვანელობით საქართველოში დაარსდა პირველი და ერთადერთი ექსპერიმენტული ბიოტექნოლოგიური ქარხანა, 1993 წელს კი — ორგანიზებულ იქნა ბიოტექნოლოგიის კათედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ნაყოფიერ სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად, გ.კვესიტაძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და აგრარულ უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 70-მდე მეცნიერებათა კანდიდატი.

გიორგი კვესიტაძეს გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 11 მონოგრაფია საქართველოში, გერმანიასა და რუსეთში ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სხვადასხვა საკითხზე, მიღებული აქვს 50-ზე მეტი საავტორო მოწმობა.

აკადემიკოს გ.კვესიტაძისათვის დამახასიათებელია მაღალი დონის ორგანიზაციული და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი საქმიანობა: იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად. ამჟამად ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებას.

ვუსურვოთ იუბილარს ჯანმრთელობა, ოჯახური კეთილდღეობა, ბედნიერება და ახალი დიდი მიღწევები ჩვენი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ქართული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებისათვის.

**ფრიდონ თოდუა,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

სასჯელი

# ერთი წლით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა აეკრძალა

**„გლობალ ტვ"-ს ერთი წლით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა აეკრძალა. შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „შავ სიაში" შეიყვანა.**

**სააგენტოს ვებგვერდზე შავ სიაში შეყვანის მიზეზად თვითმმართველ ქალაქ რუსთავისთვის ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიწოდებაზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად შესრულებაა დასახელებული.**




სააგენტოს ვებგვერდზე, გამოცხადებული ტენდერებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოძიებაც შესაძლებელია. თუმცა საიტზე „თვითმმართველ ქალაქ რუსთავის" მიერ გამოცხადებულ ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიწოდებაზე ტენდერში შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მიერ გამარჯვების შესახებ ინფორმაცია არ იძებნება.

სააგენტოს ვებგვერდზე შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგთან" დაკავშირებით მხოლოდ 4 ტენდერის შესახებ არის ინფორმაცია განთავსებული.

კერძოდ, „გლობალ ტვ"-მ 2011 წლის დეკემბერში რადიო და სატელევიზიო მომსახურებებზე ფინანსთა სამინისტროსა და იგივე მომსახურებაზე, იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გაიმარჯვა. მანამდე ორგანიზაციას წარდგენილი ჰქონდა წინადადება პარლამენტის აპარატის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, თუმცა ეს ტენდერი იმის გამო ჩაიშალა, რომ პარლამენტს საკაბელო მომსახურება სურდა, ორგანიზაციამ კი მას სერვისი თეფშით შესთავაზა.

„გლობალ კონტაქტ კონსალტინგმა" ასევე წარადგინა წინადადება შსს თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ მიმდინარე წლის დასაწყისში გამოცხადებულ ტენდერშიც, თუმცა ეს ტენდერიც შეწყდა იმ მიზეზით, რომ ტენდერის გამოცხადების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტერიტორიული დანაყოფების ერთიან სატელევიზო სისტემაზე გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

რაც შეეხება შავი სიის ცნებას, გასული წლის მაისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, შესყიდვების სააგენტოს დაევალა, რომ აწარმოოს შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი — „შავი სია". „შავ სიაში" მოხვედრილ პირებს და კომპანიებს ერთი წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

**Presage.tv**

„ჩასაფრებული" ჩანაწერები

# ვაართ, რო...

**ეგების ზოგიერთ მკითხველს ჩემი ეს პოზიცია მკრეხელური, უტაქტო, არაპატრიოტული წამოეჩვენოს, მაგრამ გავრისკავ, რაც არი, არი... აგერ, მერამდენედ აღვნიშნეთ 26 მაისი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (მგონი, ოცდამეორეჯერ); და მერამდენედ „ამიწრიალდა გულში ფიქრები, როგორც ბუდეში მტრედის ხუნდები"; ფიქრები, იგივე ეჭვები...**

ვართ კი დამოუკიდებლები? ძმაო, ეს რანაირი დამოუკიდებლობაა, თუ ამდენი სტრატეგიული ობიექტი, ამდენი მიწა, ამდენი წყალი, ტყე, ველი, მთა, შენობა, სახლი გასხვისებულია, გაუცხოებულია, გაყიდულია, გაქირავებულია, დაგირავებულია... ეს რანაირი დამოუკიდებლობაა, თუ ამდენი რუსი, თურქი, არაბი, ჩინელი, იაპონელი, კიდევ არაერთი სხვა ჯურის, რჯულის, ეროვნების წარმომადგენელი დაპატრონებია ჩემსას, ეროვნულს, ქართულს, მშობლიურსა და სანუკვარს... ეს რა დამოუკიდებლობაა, თუ ჩემს ტყეში ფიჩხის მოსაკრებად, შინდის მოსაკრეფად, შეშის მოსაჭრელად ვერ შევალ, თუ ჩემს მდინარესთან ანკესით ვერ ჩამოვჯდები ან მდინარეში საბანაოდ ვერ გადავეშვები, ან ჩემს მთაზე ვერ ავალ, რომ ვუმღერო — „გადმიშვი, მთაო, გადმიშვი, რა ნისლი მოგიხვევია"-მეთქი, ეს რა დამოუკიდებლობაა, თუ ბათუმი და აჭარა ჰა და ჰა, გათურქდა, ქვეყნის ენერგეტიკა გარუსდა, პოლიტიკა გაამერიკულდა... ეგ რანაირი დამოუკიდებლობაა-მეთქი, თუ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს ძია სემი შემირჩევს და ამარჩევინებს კიდევაც, თუ უცხოელი ელჩები მიკარნახებენ, რომელი მანიფესტაცია-დემონსტრაცია უნდა დაიშალოს-დაირბეს და რომელი უნდა შეგულიანდეს... რა ჰქვია იმგვარ დამოუკიდებლობას, როცა ჩემი საბრალო საყვარელი ენა, ჩემი მშობლიური ქართული, ჩემი „აი ია" უნდა დავაკნინო, დავჩაგრო, წარწერებიდან გავაქრო ინგლისურის, თუნდაც დიადი ენის გაბატონების ხარჯზე... რაღაა იგი დამოუკიდებლობა, რასაც ამდენი და ამგვარი დამოკიდებულება ახლავს რუსეთისაგან, თურქეთისაგან, არაბული სამყაროსაგან, ჩინეთისაგან, იმასაგან, ამისაგან... რაღაა იგი დამოუკიდებლობა, რაიც მშობლიურ ძეგლებს დამანგრევინებს, გამაგორებ-გამომაგორებინებს და უცხოურ ძეგლებს წამომამართვინებს, ქართულ სახელებს გადამარქმევინებს და ხეივნებს „გამიშეიხებს"... ხომ არ უნდა შევძახო გამწარებით — „ოთარ-ბეგ, სად არის საქართველო?.."

ცოტა რომ გარდავთქვა, არ წამოგაგონდებათ? ვერ იცნობთ?

„უი, ქართველი მეგონა და თურქი ყოფილა... ვით ამ ყმაწვილსაც, საქართველოს ფულზე ყიდიან... აშშ-ს ვთხოვოთ, გვიშველისო — სასაცილოა"...

მკრეხელობა გამომივიდა? უტაქტობა? არაპატრიოტობა? მაშინ „ჩვენ ბოდიში"...

# შენ ჩვენო „იმედო"...

**მიშაარხებიდან ყველაზე მიშური, ყველაზე მაგრად ნაცური, ყველაზე არაკაცური, თუ არ მეშლება მე თვალებდასავსებს, „იმედი" უნდა იყოს...**

ამის საილუსტრაციოდ ეგებ ერთი უბრალო მაგალითიც კმაროდეს: 28 მაისს, „ოცნების" საპროგრამო, საეტაპო შეკრების მეორე დღეს, მაგ კომპანიის საინფორმაციო „ქრონიკას" სამჯერ ვუჯექი: დილის 8, 9 და 10 საათზე; და ერთადერთი, რაც დარჩენილი საქართველოს თუ არა, თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის „გასაშუქებლად" იკისრეს, რა იყო, იცით? — გუშინდელი საპროტესტო მანიფესტაციის შემდეგ თბილისის მერიის სამსახური მთელი ღამის განმავლობაში ასუფთავებდა ქალაქის ქუჩებს მანიფესტანტების დაყრილი ქაღალდების, გაზეთების, ბოთლებისა და ცელოფნის პარკებისაგანო... და ზედაც იმ სამსახურის უფროსის „საქმიანი კომენტარი" დაურთეს: ადრიანი დილისთვის ქუჩები უკვე წესრიგში იყო მოყვანილიო.

...მიშაარხებო, დაგელოცოთ სამართალი, ობიექტურობა და ოპერატიულობა... დაგლოცეთ მე აქ...

**ბერდია ბედოიძე**

# „ხათაბალა“ ტერიტორიები და პუტინთან ურთიერთობის აუცილებლობა



საზოგადოებაში საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა სააკაშვილის მორიგ მჩატე გამონათქვამს საბჭოთა დროის აფხაზეთის იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით – თითქოს აფხაზეთი ფაქტობრივად არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ეს განცხადება ნაწილობრივ სააკაშვილის ანტიქართულ, მოღალატურ ქმედებად იქნა აღქმული (მით უმეტეს, რომ მას დაემატა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული კიდევ ერთი გაუაზრებელი განცხადება საგარეო საქმეთა ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან). შესაძლოა, ოპოზიცია ამ კრიტიკაში ცოტათი აჭარბებს და პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივ განზრახვასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ აშკარაა, რომ ხელისუფლება შინაგანად შეგუებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციიდან გასვლის ფაქტთან. 2008 წლის ომის შემდეგ ხელისუფლება შეეცადა, და სამწუხაროდ, ისევ ქართული საზოგადოების ხელშეწყობით, მას ეს ნაწილობრივ გამოუვიდა, რომ მისივე მიზეზით გამოწვეული ქართული კატასტროფა მან საკუთარ წარმატებად აქცია – სააკაშვილის რეჟიმის ძალაუფლება განმტკიცდა, ნაცვლად იმისა, რომ იგი გადაჰყოლოდა ჩადენილ დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას. 2009 წლის თბილისის „გალიების“ თეატრალიზებული პროტესტების შემდეგ, საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე სრულ ნიჰილიზმსა და უიმედობას მიეცა, რაც გამოვლინდა 2010 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე – ოპოზიციის ნაწილმა ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო (დღევანდელი გადასახედიდან ეს უფრო სწორ გადაწყვეტილებად ჩანს), მეორე ნაწილმა კი აშკარა მარცხი იგემა, რითაც საბოლოოდ დასრულდა 2007 წლიდან მოყოლებული საპროტესტო ტალღა, სანამ ახალი ტალღა არ აგორდა ჯერ 2011 წლის მაისში, როდესაც ქუჩაში „სახალხო კრება“ გამოვიდა და, შემდეგ იმავე წლის შემოდგომაზე, როდესაც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა.

ნაციონალებმა რუსეთისგან და მისი ხელისუფლებისგან მტრის ხატი შექმნეს და მთლიანად ამაზეა აგებული მათი პროპაგანდა, მეტიც, საკუთარი ლეგიტიმაცია. ამასთან, წაგებული ომი წარმატებად საღდება – რუსეთს თურმე სხვა მიზნები ჰქონდა საქართველოში (საქართველოს „დაპყრობა“), მაგრამ მან ამ მიზანს ვერ მიაღწია და ნაწილობრივ „ოკუპაციას“ დასჯერდა ცხინვალსა და აფხაზეთში. ამჯერად არ ვაპირებ ხელისუფლების აბსურდული მოსაზრების გაბათილებას, რომ თურმე რუსეთს საქართველოს დაპყრობა სურდა, მაგრამ მას ეს რატომღაც „არ გამოუვიდა“; უფრო საინტერესოა, თუ რატომ მოახდინა რუსეთმა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება და იქ თავისი სამხედრო ყოფნის გაძლიერება?

პირადად მე ჩემს სტატიებში არაერთხელ გამიმახვილებია საზოგადოების ყურადღება, რომ რუსეთი, მისი ხელისუფლების სახით, სულაც არ იყო მოწადინებული, საქართველოსთვის ტერიტორიები წაერთმია, აფხაზეთ-ცხინვალის აღიარება მისთვის იძულებითი ნაბიჯი იყო. იმ პირობებში, როდესაც საქართველო რუსეთის მიმართ მტრულ პოლიტიკას ატარებს (ამ მტრულ პოლიტიკაში „ნატოური“ რიტორიკა ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია), რუსეთი უბრალოდ იძულებულია, დაეყრდნოს იმ ძალებს კავკასიაში, რომლებიც მას სრულ ლოიალობასა და მოკავშირეობას სთავაზობენ – მოცემულ შემთხვევაში აფხაზები და ოსები. ამიტომაც მოხდა ჩვენი ტერიტორიების აღიარება მოსკოვის მიერ, რათა რუსეთს იურიდიული საფუძველი ჰქონდეს, შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა სამხრეთ კავკასიაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს აღიარება არ მომხდარა დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების (2008 წლის თებერვალი) პარალელურად, ანუ, რუსეთი „მიზეზზე“ რომ ყოფილიყო, უშუალოდ კოსოვოს აღიარების ფაქტს დაუდებდა სარჩულად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. მაგრამ აღიარება მოხდა არა 2008 წლის თებერვალში, ანუ დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შედეგად, არამედ ომის შემდეგ (შედეგად), რომელიც, უკვე ყველამ იცის, თუ ვინ დაიწყო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რასაც ხშირად ვახსენებ სხვა სტატიებში: პრეზიდენტმა მედვედევმა 2008 წლის 26 აგვისტოს განცხადებაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ ერთი ფრაზით დაადასტურა ამ აღიარების იძულებითობა, როდესაც თქვა, რომ რუსეთისათვის ეს „მძიმე გადაწყვეტილებაა“. რუსეთს ამჟამინდელი ვითარება კავკასიაში არ აწყობს, მისთვის ბევრად უფრო მისაღები იქნებოდა (და ახლაც არის), მოიძებნოს თანამშრომლობის მოდელი საქართველოსთან, რაც აფხაზების და ოსების უნდობლობას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ამავე დროს საქართველოს ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს.

თუმცა ამ ყველაფერს ვწერდი მე, დამოუკიდებელი პოლიტოლოგი, ხელისუფლებისა და მისი მაამებელი „საექსპერტო“ წრეებისაგან უზარმაზარი მანძილით დაშორებული. აქამდე ხელისუფლების პროპაგანდაში არ შემიმჩნევია ზემოთ აღნიშნული ფაქტის კონსტატაცია – ის, რომ რუსეთისთვის სულაც არ იყო სანუკვარი ოცნება ჩვენთვის ტერიტორიების წაგლეჯა. ამას ხელისუფლება არც ახლა იტყვის, მას სჭირდება რუსული სახელმწიფოსგან და მისი ლიდერებისგან ანტიქართული დემონის სახე. გავიხსენოთ, რა ბინძური კამპანია აგორდა ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ, როდესაც იგი პუტინს შეხვდა კრემლში – ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ძალიან ღირსეულად; პუტინმა იგი დიდი პატივით მიიღო, თითქმის როგორც თანასწორი ლიდერი. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილსაც ჰქონდა მცდელობები, პუტინთან ურთიერთობები აეწყო, მაგრამ იგი ამას ძალიან უნიჭოდ და უღირსად აკეთებდა – პირდაპირ ემლიქვნელებოდა პუტინს (რუსულ პრესაში სააკაშვილის ინტერვიუდან: „პუტინს ისეთი თვალები აქვს, რომ მაშინვე ნდობა აღმეძრა მის მიმართ“, „მე მივხვდი, რაშიც არის საქმე – პუტინს შევარდნაძე ატყუებდა“ და ასე შემდეგ), თან, ვინაიდან მას დასავლეთის წინაშე საქართველოს ინტერესების საზიანოდ აღებული ჰქონდა დიდი ვალდებულებები, მათ შორის ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე ლაპარაკის სახით, ვერ მოახერხა ამ ურთიერთობების დალაგება. როგორც ჩანს, სააკაშვილს პუტინი რაღაც გულუბრყვილო არსება ეგონა, რომელსაც თავისი ზერელე განცხადებებით „მოთაფლავდა“, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ეს ასე არ არის, მას ნერვებმა მალევე უმტყუნა და გუშინდელი მლიქვნელი თავს 2004 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე პუტინის რეჟიმთან „მებრძოლად“ ასაღებს. ამიტომაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სააკაშვილის ხელისუფლებას სჭირდება რუსეთის და მისი ლიდერების დემონიზაცია, მათი წარმოჩენა ჩამორჩენილ, საღ აზრს მოკლებულ, ლამის გენეტიკურად ანტიქართულ ძალად. საბედნიეროდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი გამოფხიზლდა და ამ პროპაგანდაზე აღარ ეგება. თუმცა ხელისუფლება იძულებულია, მეტ-ნაკლებად განაგრძოს ძველი პროპაგანდა, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს მის მიერვე შექმნილი იდეოლოგიური კონსტრუქცია თუ მითი, რომ სააკაშვილი საქართველოს „იცავს“ მორიგი რუსული „აგრესიისგან“ (მიუხედავად იმისა, რომ ამ პროპაგანდისა ბევრს აღარ სჯერა, მისი შენარჩუნება გარკვეული დოზით მაინც აუცილებელია ხელისუფლებისათვის).

ზემოთ თქმულს რომ დავუბრუნდეთ, რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარების მოტივებთან დაკავშირებით, ახლახან სახელისუფლებო კურსის მომხრე ერთმა პოლიტიკურმა კომენტატორმა, რომელიც მთლიანად იზიარებს რადიკალურ პროდასავლურ კურსს (თავად იყო ნატოს „საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი თბილისში), ასეთი უნებლიე აღიარება გააკეთა პრესაში: „ეს ტერიტორიები რუსეთისთვის დიდი თავის ტკივილი და ხათაბალა უფროა, ვიდრე დიდი ხეირი, როგორც ვილაცას ჰგონია“. რესპონდენტმა ეს განცხადება იმ აზრით გააკეთა, რომ საქართველოზე მეტი თურმე რუსეთმა დაკარგა ომის შედეგად (ფაქტობრივად „გაუპრავა“ ხელისუფლებას ტერიტორიების დაკარგვა). როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაერთხელ მითქვამს, რომ რუსეთისთვის არსებული ვითარება მომგებიანი არ არის, დიახ, რუსეთისთვის „ხათაბალაა“ ეს ვითომ დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც რუსულმა ბიუჯეტმა უნდა არჩინოს უსასრულოდ. თუმცა საქართველო ბევრად უფრო დაზარალდა, ამაზე ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. ზემოთ მოყვანილ ციტატაში უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახელისუფლებო წრეებშიც ხვდებიან სიტუაციის არსს, კერძოდ იმას, რომ რუსეთი არ არის დეტერმინირებული მტერი საქართველოსთვის, თუმცა ამას არ აღიარებენ და ასე, ერთი კომენტატორის დონეზე გაკეთდა ეს აღიარება. გარდა ამისა, ეს განცხადება იმის ირიბი აღიარებაცაა, რომ საქართველო გამოყენებულ იქნა მესამე ძალების მიერ რუსეთის წინააღმდეგ – რუსეთს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემური დამოუკიდებლობა „შეტენეს“, და ეს მოხდა საქართველოს ხელით, საქართველოსვე ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე.

მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ თავის კონტრპროპაგანდაში აუცილებლად უნდა გააკეთოს აქცენტი ამ გარემოებაზე, ეს ხელისუფლებას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. არც პუტინისგან დისტანცირებაა საჭირო, პირიქით, მასთან დიალოგი და თანამშრომლობა გარდაუვალია. ნინო ბურჯანაძის ვიზიტმა მოსკოვში შეარბილა ზოგადი ფონი ომის შემდეგ, გაღრმავდა ურთიერთობები არასამთავრობო დონეზე, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, რუსეთის ქართული დიასპორის დახმარებით, რამდენჯერმე შეხვდა გენადი ონიშჩენკოს და პროცესი დაიძრა – რამდენიმე დასახელების ქართული პროდუქციის საცდელი პარტია უკვე შევიდა რუსეთის ბაზარზე... თავად ვლადიმირ პუტინს არაერთხელ გამოუხატავს თავისი თბილი, ადამიანური დამოკიდებულება ქართველების მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც 2000-იანი წლების დასაწყისში მის მიერ აწ განსვენებული კოტე მახარაძისათვის ტელეფონით დაბადების დღის მოლოცვა, ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით – ეს, შეიძლება, დეტალია, მაგრამ არა უმნიშვნელო დეტალი. პუტინის ცნობიერებაში ცოცხალია ძველი, ნათელი სურათები საქართველოსი, ის სითბო, რომელიც ყველა ნორმალურ რუსს ჰქონდა საქართველოს და ნაღდი ქართველების მიმართ. არ შეიძლება, ასეთ დამოკიდებულებას ხაზი გადავუსვათ და ავყვეთ ხელისუფლების პროპაგანდას რუსეთის და მისი ლიდერის დემონიზაციაში.

გულბაათ რცხილაძე,
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ინფორმაცია

## გმირთა საფლავებთან მშენებლობა გააპროტესტეს



**ბათუმში**, დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, იუნკერთა საფლავების გვერდით, მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა „ქართული ოცნების“ წევრებმა გააპროტესტეს. აქცია გმირთა საფლავებთან სანთლების ფონზე გაიმართა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლის სულხან ღლონტის თქმით, ხელისუფლებამ უარი თქვა ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვაზე.

„50 სიმბოლური სანთლით პატივი მივაგეთ იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისთვის სიცოცხლე გასწირეს. ხელისუფლებამ ინვესტორს 1 ლარად მიჰყიდა ტერიტორია. ბათუმელები ამ გადაწყვეტილებას არ დავთანხმდებით, რადგან ჩვენთვის მთავარია ღირსება და არა – ინვესტიცია. თუ აქ აშენდება 40-სართულიანი შენობა, გმირთა მემორიალი აღმოჩნდება შენობის უკანა მხარეს, რაც შეურაცხმყოფელია“, – აღნიშნა სულხან ღლონტმა.

მისივე თქმით, უნდა გამოიძებნოს ალტერნატიული ფართი ინვესტორზე გადასაცემად და აღდგეს ბათუმში თავისუფლების მოედანი.

„ბათუმის საკრებულოს და აჭარის მთავრობას უნდობლობას ვუცხადებთ, სწორედ მათ გაცვალეს 40-სართულიანი სახლის ინვესტიციაში ჩვენი ქალაქის ისტორიის საამაყო ნაწილი“, – აღნიშნა სულხან ღლონტმა.

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული მოდელი ახალ მომხრეებს იზიდავს

**ტუნისმა, ეგვიპტემ და ყირგიზეთმა, სადაც შარშან მოხდა სახალხო რევოლუციური მოძრაობები, საფუძველი დაუდეს ორმხრივი კონტაქტების სერიებს, რათა გამოიყენონ წარმატების გაკვეთილი საქართველოს ისტორიიდან.**

2003 წელს საქართველო უცვლელად იმყოფებოდა ყველაზე დაბლა ყოველგვარ მსოფლიო რეიტინგში. მაგრამ რვა წლის წინათ, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანა ადის რეფორმატორების პოდიუმზე, რომელთა მუშაობაც აღნიშნა მსოფლიო ბანკმა. მისი რეფორმების მოდელი, რომელიც გვაგონებს ელექტრო შოკს როგორც სიჩქარით, ისე პირობებით, იწვევს ახალი ეგვიპტური და ტუნისური ელიტის ინტერესს.

საქართველო, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იზოლაციაში აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში, გახდა მაგალითი და მიბაძვის საგანი უკრაინაში, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და რუსეთშიც კი.

მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა გაარღვიეს მავნე კორუფციული წრე და სითეთრემდე დაასუფთავეს თავიანთი პატარა კავკასიური რესპუბლიკა. მათ გაწყვიტეს კავშირი საბჭოთა მემკვიდრეობასთან და გადაწყვიტეს გახდნენ დასავლეთის ნაწილი. ეს გეგმა ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი ბოლომდე, მაგრამ დღეს უკვე იწვევს აღფრთოვანებას... და შეკითხვებსაც.




### მაღალი ზნეობის რეფორმატა წრე

ყველაფერი დაიწყო 2003 წელს ვარდების რევოლუციით, რომლის დროსაც მასობრივმა სახალხო მოძრაობამ მხარი დაუჭირა ახალ მთავრობას მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. ედუარდ შევარდნაძე, 1985-დან 1990-წლამდე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და 1992 წლიდან – საქართველოს პრეზიდენტი, დათანხმდა წასვლაზე. ოპოზიციონერები გაერთიანდნენ ერთი იდეის ირგვლივ: აღმოფხვრან კორუფცია.

ხალხის მოლოდინი, როგორც არასოდეს, რევოლუციის შემდეგ იყო მაღალი და იგი მოითხოვდა დაუყოვნებლივ შესრულებას. ასე გადაწყვიტა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ განეხორციელებინა მკაცრი რეფორმების სერია, მიეყენებინა დარტყმა კორუმპირებული პოლიციელებისთვის, ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსებისთვის. ყოველივე ამის ტრანსლირება ხდებოდა ტელევიზიით და ერთგვარად ახალი ტიპის რეალითი-შოუ გახდა. დანიშნულება იყო მკაფიო: კორუფციასთან შერიგება აღარ იქნება და კანონი ერთი იქნება ყველასთვის.

ავტოინსპექციის რეფორმა (2004 წლის ივლისიძ ზევრისთვის მაგალითად იქცა. იგი იყო ყველაზე კორუმპირებული ორგანო სახელმწიფო აპარატში. შედეგად გახდა ნომერ პირველი მიზანი. რეფორმის წინა პერიოდში დაძაბულობა უკიდურესობამდე გაიზარდა.

„წინა დღის საღამოს ჩვენ გვეშინოდა მასობრივი მღელვარებისა. თუ ერთბაშად 16 ათას პოლიციელს გაათავისუფლებ, უფრო უარესს უნდა ელოდო. ამბოხებას ან სამოქალაქო ომსაც კი“, – გვიამბობს რეფორმის დამმუშავებელი ელენა ხოშტარია.

მაგრამ არაფერი ამგვარი არ მომხდარა. ამნისტიამ და ორი თვის ხელფასის გადახდამ აიძულა პოლიციელები შერიგებოდნენ ამ ამბავს. ახალგაზრდა ოფიცრების მომზადებამ, ხელფასების გაზრდამ, პოლიციული ინსპექტორების გამოჩენამ, ჯარიმების ელექტრონული გადახდის ცენტრალიზებულმა სისტემამ – ყოველივე ამან ხელი შეუწყო რეფორმის წარმატებას.

### ქართული მოდელის საზღვრები

მოხსენების თანაავტორი ელენე იმნაძე ხაზგასმით საუბრობს ქართული მოდელის თავისებურებაზე, მაგრამ ამავე დროს გვერდს უვლის მისი მნიშვნელობის შეფასებას.

„რეფორმების წარმატება უდავოა, მას ადასტურებს საიმედო სტატისტიკა... ყოველივე სხვა რამის გარდა, ეს წარმატება ემყარება ძლიერ პოლიტიკურ ნებას, ცენტრალიზებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელმაც თავისი ბუნებით მომავალში განვლილ გზას შეიძლება საფრთხე შეუქმნას“.

მაგრამ შემდეგ დაიწყო კრიტიკაც... 2007 წელს სახალხო ანტისამთავრობო დემონსტრაციებმა მიგვიყვანა მკაცრ შეტაკებამდე პოლიციასა და პროტესტების მონაწილეთა შორის. იმ პერიოდში პოლიციას თავს დაატყდა კრიტიკის მთელი ქარიშხალი – ძალის გამოყენების გამო.

მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად ხელახალი არჩევიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაჩაღდა 2008 წლის ომი. ეს იყო ქვეყნის არმიის განადგურება და მისი ტერიტორიის 20 პროცენტის რუსეთის კონტროლქვეშ გადასვლა. მთლიანად ამ სამხედრო ეპიზოდმა საზოგადოებრივ აზრში მოურჩენელი იარა დატოვა რუსეთის ჯარისკაცების სწრაფი და მკაცრი თავდასხმის გამო.

მაგრამ კონფლიქტის შემდეგ მთავრობამ შეძლო მიეღო საერთაშორისო დახმარება, რომელიც მიზნად ისახავდა რეფორმების პროცესისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერას. რეფორმისტულმა ჯვაროსნულმა მიდგომამ კვლავ იწყო განვითარება.

შარშან, როდესაც პარიზში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თორნიკე გორგაძეს შევეკითხე რეფორმებისა და მოსახლეობის უკმაყოფილების შესახებ, მან მხოლოდ მიძო ეკონომიკური რეფორმები, შემდეგ კი ზიზღით განაცხადა, გაღიზიანების დაუფარავად: „თქვენ რომ ყოფილიყავით საქართველოში, დაინახავდით, რომ სოფლებში ხალხი არაფერს აკეთებს, მთელი დღეები ეწევიან და თამაშობენ ნარდს“.

პრობლემა სწორედ ესაა: „მიშისტები“ თავის უმრავლესობით სწორედ ასე იქცევიან. ეს თანამედროვე ჯვაროსნები დარწმუნებული არიან რეფორმების უპირატესობასა და პრეზიდენტის მისწრაფებაში გადააქციოს საქართველო „თანამედროვე და ცივილიზებულ“ ქვეყნად, რასაც არ უნდა ფიქრობდეს ამის შესახებ მოსახლეობა.

### დასავლეთის კონტროლი

რაც უნდა იყოს, „მიშისტებს“ არ აქვთ სრული მოქმედების თავისუფლება. დასავლეთის ეს ბეჯითი მოწაფეები მისი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, ვინაიდან სესხები და დახმარება განვითარებისთვის გამოიყოფა მხოლოდ დემოკრატიული ცვლილებების პირობებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ნატო ყურადღებით განიხილავენ კავკასიის რესპუბლიკის მიღწევებს. ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მიესალმებიან მიღწეულ პროგრესს ქვეყნის რეფორმირების სფეროში, მაგრამ სვამენ საკითხს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, აგრეთვე პოლიტიკურ არენაზე ნაირფეროვნების არარსებობაზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამჭვირვალობაზე.

სასამართლოების არასაკმარისი დამოუკიდებლობა ხშირად კრიტიკის ობიექტია. ერთბაშად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია საუბრობს თვითნებობაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოტანისა და დასჯის უკიდურესად მძიმე ზომებზე უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვის. შედეგად საქართველოს მყარად უჭირავს მეორე ადგილი მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა ოდენობის მხრივ.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი ამ სიტუაციას ასეთ კომენტარს უკეთებს: „რეფორმების პირველი ეტაპი უნდა განხორციელებულიყო მაქსიმალურად მკაცრად, რათა გაგვესუფთავებინა სისტემა. დღეს ჩვენი ციხეები გადაჭედილია, მაგრამ დანაშაულობათა დონე – მინიმალურია. ამჟამად ჩვენ მივდივართ უფრო ლიბერალური რეჟიმის მიმართულებით, თავისუფლების ჩამორთმევის გარეშე დარღვევათა გადაჭრის ზომებისკენ, პირობითი ვადებისკენ“.

ქვეყნის პოლიტიკურ საინფორმაციო სფეროში პირველ ადგილზე გამოვიდა ივანიშვილის საქმე. „კრემლის კანდიდატს“, როგორც მას უცვლელად უწოდებენ მისი მოწინააღმდეგეები, დღემდე ვერ დაუბრუნებია საქართველოს მოქალაქეობა. ამ ქართველმა საფრანგეთის პასპორტით მთელს ქვეყანაში გახსნა ცენტრები მისი „ქართული ოცნების“ პროექტის მხარდასაჭერად, მაგრამ „სააკაშვილიზმის“ ყველა მომხრემ რამდენადმე შელახა მისი რეპუტაცია.

„საფრანგეთში დათანხმდებოდნენ, რომ რამდენიმე მილიარდი დოლარის მქონე ადამიანი დააფინანსებდა პარტიას საკუთარი ფულით? არა, რასაკვირველია“, – ამბობს მინაშვილი. საქმე დახურულია. ნახვამდის.

პარლამენტის არჩევნები, რომლებსაც კონსტიტუციური რეფორმების შემდეგ აქვთ უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე პრეზიდენტის არჩევნებს (2013 წლის იანვარიძ, გაიმართება ოქტომბერში. დასავლეთის გაფრთხილებები რეჟიმის გადახრის შესახებ ავტორიტარიზმის მხარეს კვლავ უბიძგებს „მიშისტებს“ იქითკენ, რომ გამოიყენონ დიპლომატია და არჩევნებისგან შექმნან „ტესტი“ საქართველოს დემოკრატიის მომავლისთვის. მინაშვილს ეჭვიც არ ეპარება პრეზიდენტის პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმატებაში.

### უცვლელი ინტერესი

ბოლოს და ბოლოს, სათანადო უნდა მიეზღოს „მიშისტებს“. ისინი შეიძლება იყვნენ ვინც გინდა, მაგრამ რეფორმების წარმატებები საქართველოში – უთუო ფაქტია. ათ წელზე ნაკლებ პერიოდში რესპუბლიკა აშკარად გარდაიქმნა, რომელიც გამოირჩევა თავისი ყოფილი საბჭოთა მეზობლების ფონზე. ამას გარდა, უკანასკნელ თვეებში ქართული მოდელი იწვევს ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის მთარობის გაზრდილ ინტერესს.

უკრაინელი და რუსი ჟურნალისტები საუბრობენ ამის შესახებ გაზეთების ფურცლებზე. რუსეთში, ქვეყანაში სრულიად სხვა პირობებით, ასევე დაიწყეს საუბარი საქართველოზე, რომელმაც შეძლო ბოლო მოეღო კორუფციისთვის (თუმცა რუსეთის ტელეარხები არაფრის გულისთვის ამის შესახებ არ ისაუბრებენძ. ზოგიერთი საქართველოს გზას წარმოიდგენს, როგორც ალტერნატივას რუსეთის ნეოსოვეტიზმისთვის.

მაგალითად, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის (მისი ურთიერთობა მოსკოვთან სრულიად ულრუბლოდ გამოიყურებაძ სიძე ტიმურ ყულიბაევი ღიად საუბრობს განვითარების ქართული გზის უპირატესობაზე რუსეთის მოდელთან შედარებით.

მაგრამ განა მისაღებია რეფორმების ასეთი მოდელი რუსეთში, ყაზახეთში ან უკრაინაში? ამ სახელმწიფოთა მოცულობის გათვალისწინებით?

Slate.fr

## დედამიწის ზურგზე



**პერუში გაჩაღდა „სპილენძის ბუნტი“ – ორი კაცი დაიღუპა**

ხალხი დაიღუპა პროტესტების დროს, რომელიც გაჩაღდა კუსკო ესპინარის რეგიონში სამთოგამამდიდრებელ მაღაროსთან დაკავშირებით. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოითხოვეს, რომ მფლობელებს გაეზარდათ გადარიცხვები პროვინციის ბიუჯეტში. როდესაც უარი უთხრეს, მათ ბარიკადები აღმართეს მაღაროსკენ მიმავალ გზაზე. რეგიონში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა, შეტაკების დროს ათობით ადამიანი დაშავდა.

* * *

**კანადის „ბოინგ-777“-მა აფრენის შემდეგ დაიწყო დაშლა: ციდან გზატკეცილზე ნამსხვრევები ჩამოცვივდა**



მგზავრების დამოწმებით, ფრენის დაწყებიდან ყველაფერი ასე როდი იყო: უკვე სიმაღლის აკრეფის დროს კონდიცირების სისტემაში გაისმა ხმაური, თვითმფრინავმა სიმაღლის აკრეფა შეწყვიტა და დარჩა ერთსა და იმავე სიმაღლეზე, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში. დედამიწიდან კი თვითმხილველები ხედავდნენ ძრავიდან როგორ გამოდიოდა კვამლი და ცეცხლი (თვითმფრინავის შემდგომი ბედის შესახებ არაფერს იტყობინებიან).

* * *

**საუდის იმამმა ბაშარ ასადისთვის ხულეში ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გასამრჯელო დანიშნა**



ავტორიტეტულ რელიგიურ მოღვაწეს ალი ალ-რაბიეის განზრახული აქვს გადაუხადოს 450 ათასი დოლარი მას, ვინც ბოლოს მოუღებს სირიის პრეზიდენტს – „მკვლელს, ვისმა დანაშაულებრივმა მოქმედებამაც ბავშვებისა და ქალების წინააღმდეგ მთელი მსოფლიო შეაშფოთა“. ოფიციალური კომენტარები საუდის სამეფოს სასახლიდან ჯერ არ შემოსულა.

* * *

**ისრაელში ქმარი გაეყარა ცოლს, რომელიც 550 კატას ინახავდა**

მამაკაცი ჩიოდა, რომ არ შეუძლია დაიძინოს საწოლზე, რომელიც სავსეა ცხოველებით. ისინი მას არ აძლევენ სახლში გადაადგილების საშუალებას და იპარავენ საჭმელს. ქალმა არჩევანი ქმარსა და კატებს შორის ამ უკანასკნელებზე შეაჩერა.



მწარე ფიქრები

# მივდივართ და საით...

ვიცი, რომ ჩემი სიტყვა ისეთივე ამაოა, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ვიცი, იმიტომ, რომ რამდენს ვწერთ, რამდენს ვამბობთ, მაგრამ შედეგად რა?, ბოლოს ის იმარჯვებს, ის, ეშმაკი, რომელიც კარგა ხანია შემოსახლებულა ქართველთა არა მარტო გულებში, არამედ სულიერებაში.

არ ვიცი სად დაიკარგა და გაქრა ჩვენი ეროვნული სიამაყე, რა ხდება ჩვენს ირგვლივ, ვხედავთ კი? დიახ, ვხედავთ აგერ-ეგერ, ზოგიერთები. ზოგიერთები, თორემ, ყველა რომ ხვდებოდეს, მაშინ არ ექნებოდა ქვეყანას კრიზისი, კრიზისი იმ, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ფუნდამენტისა, რომელზედაც ხაროზს, იშლება და იზრდება, მაგრდება და ძლიერდება ესა თუ ის სახელმწიფო. ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ერთადერთი რამ ზნეობაა. ნიჭისა და სიკეთის ნაკლებობამ, შეზღუდულობამ, საკუთარ ხალხზე აღმატებულების შეგრძნებამ, პატივმოყვარეობამ და რაც მთავარია, ცნება „თავისუფლების“ დამახინჯებულმა გააზრებამ, რამაც თავად კანონისადმიც კი მეტად „ორიგინალური“ დამოკიდებულება შექმნა, დაასნეულა ზნეობა და ეს საშინელი, სენივით გამავრცელებელი ბაცილა ზემოდან ქვემოთ ჭირივით მოედო საზოგადოებას, მასებს.

დიახ, ასეა, როდესაც ოჯახის თავი უზნეოა, ადვილი შესაძლებელია მთელი ოჯახი გაუზნეურდეს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც დღევანდელი მოქალაქე (პირობითად — „მოქალაქე“ძ სათავეშივე ხედავს მოჩვენებითობას, მომხვეჭელობას, მხოლოდ საკუთარ შემოსავალზე, საკუთარი ოჯახის წევრებზე მზრუნველებს და მოყვასისადმი კი გულგრილად დამოკიდებულ ადამიანებს, ხალხიც იგივეს იმეორებს, მას სხვა გზა არ რჩება: ან უნდა იმაქციეროს, ტყუილებით და მლიქვნელობით, მონური ცხოვრებით გაიტანოს წუთისოფელი, ან გაეცალოს აქაურობას, დაივიწყოს სამშობლო და უგულებელყოს ვალდებულებები სამშობლოს წინაშე, დაივიწყოს აქამდე ძლივს შენარჩუნებული ყოველგვარი მამაპაპური ადათები და წეს-ჩვევები. რომელთაგან, თავისი არსებობის მანძილზე, ბევრი რამ დაგვაკარგვინა საბჭოთა წყობამ. სამწუხაროდ, დღეს, მგონი უფრო სწრაფი წესით და უფრო დიდი და ღირებული დანაკარგებით გრძელდება ეს პროცესი.

ხომ ვიცით რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში... თუმცა შევხედოთ, კარგად დავუკვირდეთ, მართლაც, რა ხდება თუნდაც ჩვენს ქალაქში, ნუ დავაცქერდებით მხოლოდ ყველა ეკლესიის კართან, ყველა ქუჩის გასასვლელ-გამოსასვლელთან მომრავლებულ მათხოვრებს, ნაგვის ყუთებთან მისეულ ადამიანებს, ნახმარი ბოთლებისა თუ კიდევ რაღაცეების საძებნად დაფაციცებულთ... გავხედოთ მანქანებით გადავსებულ ქუჩებს, ეზოებს და ტროტუარებსაც კი, ეს მანქანები ჩვენი თანამოქალაქეთა საკუთრებაა. შევხედოთ ახლახან დამთავრებულ შენობებს, საცხოვრებელ სახლებს, სუპერ-მარკეტებს, შელამაზებულ-შეკეთებულ-გარემონტებულ პროსპექტებს... ცვლილებებია, რა თქმა უნდა, და მაინც მათხოვრები, მაინც ატალახებული ბაზრობები, მაინც უბადრუკი, თითქმის ადამიანის სახედაკარგული გამყიდველები გვიდგანან თვალწინ და მაინც იმ საზღვარგარეთ გაქცეულ მოქალაქეებზე ვფიქრობთ, რომელთა თავგანწირული შრომით, სისხლით, ოფლით (ხშირ შემთხვევაში არაადამიანური, სამარცხვინო შრომითაც კი!ძ უჩნდება მათი ოჯახის წევრებს პურის ფული და ხშირად იმ, იაპონიასა და გერმანიაში ნახმარი ავტომობილების შესაძენი თანხაც, რომლითაც გადავსებულია ჩვენი ქალაქის ქუჩები და რომელზედაც ხშირად სიამაყით მიუთითებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, აქაო და, ნახეთ თუ არ გაუმჯობესებულა ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობაო... დიახ, მართლაც რომ მცირედით გაუმჯობესდა, მაგრამ სამწუხაროდ, არა ადგილობრივი მრეწველობის, ახალი ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედების ხარჯზე... ხომ უნდა ვიცოდეთ რატომ არის საქართველოდან თითქმის მილიონზე მეტი მოქალაქე საზღვარგარეთ გაქცეული...

დაკვირვება და ძალიან დიდი, ღრმა ძიება არ არის საჭირო ჩვენი ქვეყნის და ხალხის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაცნობად, განა არ ვიცით, რა დღეშიცა ვართ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რა პენსიებსა და ჯამაგირებს ვღებულობთ?



მხოლოდ ერთი რამ გვაგდებს გაუგებრობასა და საგონებელში: რას მივხედოთ, ეკონომიკურად უაღრესად შეჭირვებულ საკუთარ ოჯახს თუ უდიდეს განსაცდელში მყოფ სამშობლოს. ან, როგორ მიხედოს სადავეებგამოცლილმა და უძლურმა ხალხმა ამ ურთულეს პრობლემებს?.. რა ქნას!

რამ და ვინ შემოგვიტია? შიმშილმა, სიდუხჭირემ თუ ვერცხლისმოყვარეობამ? ნუთუ ზნეობაში აღმოაჩინა მტერმა ჩვენი აქილევსის ქუსლი და აქედან შემოგვიტია? მოსვენებას არ მაძლევენ ეს ფიქრები, რადგანაც კარგად ვიცი, რაც მოჰყვება ზნეობის დაცემას...

უზნეობით თავბრუდახვევას ხიფათები მოაქვს ქართველი ხალხისთვის (აჭარა ამის თვალსაჩინო მაგალითიაძ. სწორედ ამ გზით მოიპარებიან ჩვენი დამოყვრებული მტრები. სოციალური უზნეობიდან პოლიტიკურ უზნეობაში გადავყავართ სამცხე-ჯავახეთელ საქართველოს მოქალაქეებს... ამ საკითხებზე ფიქრიც კი მაშინებს, რასაც, თავს ზემოთ რომ ძალა არა მაქვს, ისიც ემატება და სრულიად უძლური და გაკოტრებული შევყურებ გაურკვეველ მომავალს, თანაც იმ დღეს სინანულით ვიგონებ, როცა ვნატრობდი: ღმერთო, მანამ ნუ მომკლავ, სანამ ჩემი აფხაზები და აფხაზეთი საქართველოს არ დაუბრუნდებიან-მეთქი! თურმე, სადა ვარ! თურმე წინ რა მელის!.. გაჭირვებულ კაცს (ამ ჯერზე — ქვეყანასძ ქვა აღმართში დაეწიაო, — რა საშინელი სიმართლე ყოფილა!

მაისის თვეში წვიმიანი ამინდებივით მიჰყვა ერთმანეთს ცუდი ამბები, თუმცა ამ ბოლო წლების რომელ თვეში ვართ დაზღვეული ამ „სიკეთისაგან“.

ცნობილი ქართული ქრისტიანული მონასტრების ანსამბლი, ისტორიული — დავითგარეჯა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობსო (ნაწილობრივო თუ ნახევრადო!ძ, გაგვიცხადეს საკუთარმა ჩინოვნიკებმა და მერე მოიბოდიშეს, მთლად ასე როდია საქმეო! მერე, როგორც იქნა, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ტურისტები (თავად ბერებიც!ძ გაატარეს და მისცეს ნება ჩვენი ქვეყნის უძველესი ტაძრების მონახულებისა! ამ ყველაფერ „სიკეთესთან“ პარალელურად, 12 მაისის ღამით, ბუნების მორიგი, კოკისპირული თუ ვედროსპირული წვიმით შემოტევას სანიაღვრე ჭებმა, თუ ეკოლოგიური საშიშროებისაგან ცუდად დაცულმა ქალაქმა, ვერ გაუძლეს, წაილეკა საცხოვრებელი სახლები, ეზოები, ბოსტან-ბაღები, ფრინველ-საქონელი (საგარეჯო, გურჯაანიძ და მოხდა უფრო უარესიც — დაიღუპნენ ადამიანები, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები. და ეს მოხდა დედაქალაქში. ჩვენდა სამარცხვინოდ, დატბორვისა და უბედურების მიზეზს ახლა არკვევენ, რისი ბრალი იყოო. ზოგი იმ ზონაში გაშენებულ ღარიბთა ბარაკებს აბრალებს, ასეთი სლოგანიც შექმნეს — თბილისი ბარაკების გარეშეო, ზოგი კიდევ ტექნიკურ გაუმართაობას და მოუგვარებლობას თვლის უბედურების მიზეზად. არადა, როგორც ქალბატონი თინა ხიდაშელი ბრძანებს, თურმე, სწორედ, ქალაქის სანიაღვრე ჭების გასამართავ-მოსაგვარებლად ქალაქის მერიას მილიონობით თანხები აქვს დახარჯული!

სულ ახლახან, საზოგადოების ყურადღება ახლად დამკვიდრებულმა საქველმოქმედო ფონდმა „ქომაგმა“ მიიპყრო. ნუ დაუჯერებთ, თუ გნებავთ, ლეგენდას „რატომ კარგი აგიგიაო“. და ახლა ამ „ქომაგს“ და მის დამფინანსებელს — გერმანიის მოქალაქეს ბატონ გიორგობიანს გამოედევნა „კონტროლის პალატა“ აწ უკვე სახელგანთქმულ მოგელაძის მეთაურობით — ხალხს კი მოსწონს ყოველივე ეს, მაგრამ ჩვენ და ჩვენს კანონს რატომ არ ეკითხებითო. ვის და რას დაუჯეროს ამ ხალხმა, გუშინ რომ კანონი ეგონა, დღეს სულ სხვა შინაარსით გამოუქვეყნეს...

აგერ ა, პარლამენტში სულ ახალთახალი საკონსტიტუციო მუხლი დაამტკიცეს და ამით ვითომ „ქართული ოცნების“ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს გაუხსნეს პოლიტიკური ასპარეზი, მაგრამ ბატონმა ბიძინამ ხალხის შეურაცხყოფად ჩათვალა პარლამენტის ასეთი (თვითნებური?ძ დამოკიდებულება კონსტიტუციისადმი, საპროტესტო წერილი გამოაქვეყნა და ამ, ეგრეთ წოდებული ჟესტით, აქამდე თუ სააკაშვილი კარნახობდა ივანიშვილს პირობებს, ახლა უკვე პირობებს ივანიშვილი კარნახობსო, — ამბობს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე.

ერთი სიტყვით, სანამ ასეთ „წვრილმანებს“ გაარკვევდნენ, ამასობაში ახალი უბედურება წამოგვეწევა ალბათ (ისე შევეჩვეთ, რომ სანახაობასავით ველით კიდეც, სამწუხაროდ!ძ, მერე იმ ახალ მოვლენასა თუ საკითხზე გადავა ხალხის ყურადღება ...

ასე „თეატრალურად“ მიდის ჩვენი ყოფა-ცხოვრება და იწერება საქართველოს უახლესი ისტორია. მთელი უბედურება ის არის, რომ ამ ახალი ისტორიისა და დაპატარავებული საქართველოს გეოგრაფიული რუკის შექმნას მხოლოდ მტერი კი არა, თავად ჩვენც ვუწყობთ ხელს წაყრუებით, გულგრილობით, მდუმარებით, ხან საქმის მიფუჩეჩებით, ხანაც სამომავლოდ გადატანით.

ამ ახალ მოვლენებში ყველაზე მეტად საქართველოს საზღვრების საკითხი მაღელვებს , თითქმის ყოველ წერილში ულონოდ ვდარდობ მასზე და დაბეჩავებულ, ლობემორღვეულ სახლკარს ვადარებ.

სასწაული ის არის, რომ 1929 წელს, ე.ი. იმ საუკუნის დასაწყისში დაწერილი ხელშეკრულებების შინაარსს ახლა ვეცნობით და გვიკვირს, რა მომხდარა თურმე! მე კი აზერბაიჯანელებისა მიკვირს, საკუთარი ისტორიის გამრუდებით, სხვათა მონაგრისა და ნაჭირნახულევის მისაკუთრება რომ მოსდომებიათ. სწორედ ეს მიუთითებს ჩვენს სისუსტესა და ისტორიული წარსულისადმი უდიერ დამოკიდებულებაზე.

მივდივართ და საით ... გზადაგზა ვფანტავთ ჩვენს ადგილ-მამულებს, ხელთუქმნელ ისტორიულ ძეგლებს, მაგრამ მთავრობაც გზადაგზა გვიმტკიცებს, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი ქვეყანა, ახლა რომ გვაქვს (აშენებული, დამშვენებული, ძლიერი!ძ ჯერ არავის უნახავსო...

**გულნარა სტურუა**

ტენდერი „ჩვენი ბიჭებისთვის“

# შაური — მე, შაური — შენ, მოსახლეობას?..

## „ყოფილთა“ ამჟამინდელი ბიზნესი

**სააკაშვილი კი აცხადებს, რომ ყველა თანამდებობის პირმა „ქამარი უნდა შემოიჭიროს და ყაირათიანად ხარჯოს სახელმწიფო თანხებიო“, მაგრამ თვითონ იძლევა ცუდ მაგალითს. უსაშველოდ გაწელილ მოგზაურობებს (არაფრისმაქნისთა დიდი ამალით), ღრეობებს, გართობებსა და ტაშ-ფანდურში ჩვენი თანამოქალაქეების მიერ გადასახადის გადახდით ბიუჯეტში შესული ასი ათასობით ლარი ეწირება. „შეფს“ იერარქიულ კიბეზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომნიც ბაძავენ.**

თბილისის მერიის ყოფილმა მოადგილემ და შემდგომ ძველი თბილისის რაიონის ყოფილმა გამგებელმა ლაშა ფურცხვანიძემ, თავის ყოფილ მოადგილე კობა ხარშილაძესთან ერთად 2010 წელს შექმნა შპს „გრინსერვისი“, რომელიც საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმდა.

თავისი ჩინოვნიკური წარსულის წყალობით, შპს-მ ჩამოყალიბების დღიდან დღემდე სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ 17 ტენდერში გაიმარჯვა (თუმცა, ელექტრონულ ვერსიაში ტენდერთა ჩამონათვალი არ არსებობსძ და 4 მილიონზე მეტი ლარი მიიღო.

ბოლო ტენდერი, ბარათაშვილის ქუჩაზე ხე-მცენარეების შემოტანა-დარგვის მიზნით ჩაატარეს. დედაქალაქის მერიას განზრახული ჰქონდა ბარათაშვილის ქუჩაზე ახალი კვიპაროსების დარგვა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ხელით დარგულის მოჭრისა და მათ ნაცვლად კვიპაროსების ჩარგვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო თბილისის მთავრობამ ამ მიზნით ტენდერი გამოაცხადა.

ა/ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ცნობით, ტენდერში, როგორც ჩვენში ეს ხშირად ხდება ხოლმე, მხოლოდ ერთი ფირმა მონაწილეობდა და გამარჯვებულადაც ის გამოაცხადა — შპს „გრინსერვისი“.

ტენდერის პირობების თანახმად მერიას სურდა 120 კვიპაროსის ნერგი შეესყიდა. გამარჯვებულმა ფირმამ პირობები დააკმაყოფილა და ხე-მცენარეების დასახელებული რაოდენობა შემოიტანა. ცალი — ათას ლარად!

არასამთავრობოები დაინტერესდნენ (შემოტანილის ასტრონომიული ფასის გამოძ თუ სხვა შემთხვევებში რა თანხა უჯდებოდა მერიას მსგავსი ნარგავების შემოტანა. გაირკვა, რომ ერთ-ერთი ბოლო ხელშეკრულების მიხედვით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ფირმამ 30 იანვარს დედაქალაქში შემოიტანა 5 000 ცალი სხვადასხვა ნერგი (კვიპაროსი, ცაცხვი, ნეკერჩხალი და ა. შ.ძ. თითო ცალის ღირებულება 30 ლარი იყო.

გამოდის, რომ ვილაცის კორუფციული გარიგებისა თუ უაზრო ხუშტურის გამო დედაქალაქის ბიუჯეტმა 3600 ლარის ნაცვლად მოსახლეობის გადასახადებისაგან აკრეფილი 120 ათასი ლარი გადაიხადა.

ესეც ნაციონალური ქამრების მოჭერის პრინციპი — ოღონდ არა მაღალჩინოსანთათვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისათვის.

**ზაზა ბილიხოძე**

ნიჩბოსნობა

# კრატასიუკის ხსოვნას მიეძღვნა



**ფოთის მერიის თაოსნობით წლეულს მერვედ გაიმართა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ვიქტორ კრატასიუკის მემორიალი აკადემიურ, საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობაში. თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და დუშეთის ახალგაზრდა სპორტსმენები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის „ბილაინის“ ფოთის განყოფილების მესვეურებმა შეჯიბრების მონაწილეებს მაისურები და კეპები, ხოლო გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სპეციალური თასები გადასცეს.**

**კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:**

**აკადემიური ნიჩბოსნობა: ახალგაზრდები. ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი.** 100 მ. გელა ქოიავა (ფოთი), **ერთიანი წყვილმოსასმელიანი, 2000 მ.** თორნიკე სინატაშვილი (ქუთაისი), **ორიანი უმესაჭო. 2000 მ.** გიორგი სინატაშვილი, ირაკლი უკლება (ორივე – ქუთაისი), **ორიანი წყვილმოსასმელიანი, 1000 მ.** გელა ქოიავა, გიორგი კუჭავა (ორივე – ფოთი). **ორიანი უმესაჭო, 1000 მ.** იონა ღურჯია, ლევან ბერიშვილი (ფოთი). **კადეტები. ერთიანი წყვილმოსასმელიანი. 500 მ.** გიორგი ჯიქია (თბილისი). **ორიანი წყვილმოსასმელიანი. 500 მ.** პეტრე ქავთარაძე, ნიკა ქავთარაძე (ფოთი). **ორიანი გასაშლელი, 500 მ.** გიორგი ჩირაძე, დავით ფხაკაძე (ქუთაისი). **ერთიანი წყვილმოსასმელიანი. 500 მ.** გელა ქოიავა (ფოთი).

**ბაიდარა. ერთადგილიანი, 500 მ.** გიორგი ტაბატაძე (ფოთი), **ორადგილიანი, 500 მ.** ემზარ კიკალიშვილი, გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი). **ერთადგილიანი, 200 მ.** ნიკოლოზ მაღლაფერიძე (ქუთაისი), **ერთადგილიანი. 100 მ.** ლაშა კვაჭაძე (ფოთი). **ორადგილიანი, 200 მ.** ლუკა სუხიტაშვილი, ბადრი ყაველაშვილი (თბილისი). **გოგონები. ერთადგილიანი, 200 მ.** თეონა შაბურიშვილი (დუშეთი).

**კანოე. ერთადგილიანი, 500 მ.** გიორგი შაბურიშვილი. **ერთადგილიანი, 200 მ.** მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი). **ორადგილიანი. 200 მ.** ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი), **ერთადგილიანი 100 მ.** მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი). **კადეტები. ორადგილიანი. 100 მ.** ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი).

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ხალიჩაზე – ჭაბუკები



**თორმეტი ქალაქისა და რაიონის 170-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 1999-2000 წლებში დაბადებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ღია პირველობაში, რომელსაც ხაშურმა უმასპინძლა. ნორჩმა ფალავნებმა 13 წონით კატეგორიაში მოსინჯეს მკლავისა და მუხლის ძალა.** წონების მიხედვით ყველა მეტოქე დაამარცხეს და პირველ ადგილებზე გავიდნენ ვაკო არუთინიანი (გორი, 26 კგ.), ნიკა გოგრიჭიანი (ამბროლაური, 29), გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური, 32), გიორგი ხაჩიძე (ხაშური, 35), თემურ ვანიშვილი (გორი, 38), ალეკო ლომიძე (42), თორნიკე კვინიკაძე (46), ვანო გოდელაშვილი (სამივე – ხაშური, 50), იუნის ბაირამოვი (ქარელი, 54), ლევან ქოქიაშვილი (ყვარელი, 58), დავით გერმანოზიშვილი (თბილისი, 63), ლაშა ხუბაშვილი (თბილისი, 69), ზურაბ ბუჯიაშვილი (ყვარელი, (+69).

უნივერსიადა

# სტუ – სრული სვლით

**საქართველოს საუნივერსიტეტო ფედერაციის ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გრძელდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ამ დღეებში პაექრობები დაამთავრეს მძლეოსნებმა, მოცურავეებმა და მოჭადრაკეებმა.**

„სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებმა ეროვნულ სტადიონზე იასპარეზეს. გოგონები ერთმანეთს 100 და 200 მეტრზე რბენაში დაუპირისპირდნენ. ორივე დისტანცია მოიგო სამედიცინო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ სტუდენტმა მაიკო გოგოლაძემ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე სიგრძეზე ხტომაში საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურიც მოიპოვა. ორივე დისტანციაზე უახლოესი მეტოქეები – ანჟელა ბანდური (სოხუმის უნივერსიტეტი) და ირინა სილანტიევა (თსუ) გამარჯვებულს საგრძნობლად ჩამორჩნენ. ვაჟებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: ოთარ ხაჭაპურიძე (100 მ. და სიგრძეზე ხტომა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), გიორგი ზილბერშტეინი (200 და 400 მ. ახალციხის უნივერსიტეტი), დავით გორდელაძე (800 მ. სოხუმი), ბექა ჯღარკავა (1500 მ. სოხუმი).

**ცურვა. გოგონები.** სოფო დეკანოსიძე (50 მ. თავისუფალი ყაიდა, გ. თავართქილაძის უნივერსიტეტი), ელენე გიორგობიანი (500 მ. ბრასი. შავი ზღვის უნივერსიტეტი). **ვაჟები.** ვაჟა ჭიოტაშვილი (50 მ. თავისუფალი ყაიდა, სტუ), ილია მანჯგალაძე (50 მ. ბრასი, სამედიცინო), გიორგი მთვრალაშვილი (50 მ. გულაღმა ცურვა, ბატერფლაი, 100 მ. კომპლექსური. საავიაციო უნივერსიტეტი).

**ჭადრაკში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები**. 1. ნათია ჯალაბაძე (გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი), 2. სალომე ხაჟომია (სტუ), 3. ნინო კეკელიძე (აგრარული უნივერსიტეტი). **ვაჟები.** 1. ნიკა პაიჭაძე (სტუ), 2. რომან ჩიტაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), 3. დიმიტრი კვარაცხელია (თსუ).



საერთო გუნდურ ჩათვლაში 40 მედლით სტუ (16 ოქრო, 9 ვერცხლი, 15 ბრინჯაო) დაწინაურდა. მეორე-მესამე ადგილებს აგრარული უნივერსიტეტი (29=6, 10, 13) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (22=6, 7, 9) ინაწილებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩემპიონთა ლიგა

# ფული რომას ნამდვილად ეყოფა...

**ცხრა წელი დასჭირდა ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ ახლანდელ მეპატრონეს, რუსეთელ მილიარდერს რომან აბრამოვიჩს თავისი ოცნების ასასრულებლად – დედამიწაზე ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ნადავლის, ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასის მოსაპოვებლად.**

19 მაისს ლონდონელი არისტოკრატების მეტოქემ მიუნხენის „ბაიერნმა“ თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ალბიონელებს კომბოსტოსა და სოსისის „დიეტის“ უპირატესობა შვრიის ფაფასთან შედარებით, მაგრამ იმ საღამოს ფორტუნა, ეს ერთობ ჭირვეული ქალბატონი, აშკარად ბრიტანელთა მხარეს იყო. საკუთარი ქომაგების მხურვალე მხარდაჭერის თანხლებით „ბაიერნი“ განუწყვეტლივ უტევდა „ჩელსის“ კარს: რობენი, მიულერი და გომესი ინგლისელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ბატონობდნენ, მაგრამ ამის იქით მათ შეუვალად ელობებოდა სტუმართა დიდებული მეკარე პეტერ ჩეხი, რომელმაც პირველი 83 წუთის განმავლობაში რამდენიმე საფეხბურთო შედევრი შექმნა, მაგრამ მერე მიულერმა მას შანსი აღარ დაუტოვა...



თვალის ერთი გადავლებით ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „ჩელსის“ თამაშის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, მაგრამ... 88 წუთზე გერმანელთა მხარეს დანიშნული პირველი კუთხურიდან(!) ჩამოწოდებულ ბურთს დიდიე დროგბამ ადგილი მანუელ ნოიერის კარში მოუძებნა – 1:1! დამატებითი დროის შემდეგ დანიშნულ პენალტების სერიაში კი უფრო ზუსტები ინგლისელები აღმოჩნდნენ და თავიანთი კლუბის ისტორიაში პირველად ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელებიც გახდნენ.

სპორტულ დიდებასთან ერთად „ჩელსის“ მოთამაშეთა თავზე ჭეშმარიტად ოქროს წვიმა წამოვიდა. ექსპერტების გამოთვლით, **ცხრა წლის მანძილზე რომან აბრამოვიჩმა „ჩელსიზე“... მილიარდი ევრო დახარჯა(!) და როცა წლევანდელი პრემიერლიგა დასრულდა („ლურჯებმა“ სამარცხვინო მე-6 ადგილი დაიკავეს), კლუბის მეპატრონე მოთამაშეებს ზღაპრულ საპრემიო ანაზღაურებას შეპირდა, თუკი ისინი ჩემპიონთა ლიგას მოიგებდნენ.**

**ამრიგად, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა რობერტო დი მატეომ 935 ათასი ევროს ოდენობის პრემია მიიღო, მოთამაშეებმა კი ერთმანეთში 12,4 მილიონი ევრო საერთო გამარჯვებაში შეტანილი წვლილისდა მიხედვით გაიყვეს. საშუალოდ კი მათმა ბონუსებმა 500 ათასი ევრო შეადგინა.**

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგებამ აბრამოვიჩს მარტო ხარჯი კი არ გაუზარდა, არამედ მოგებაც მოუტანა: **„ჩელსის“ ყულაბაში დაახლოებით 30 მილიონი ევროს ოდენობის საპრიზო თანხა ჩაირიცხა. მეტიც: სეზონის შემოსავალი გაცილებით სოლიდური იქნება, რადგან ამ თანხაში არ შედის თამაშების ტელეტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავალი.** მაგალითად, შარშან „ბარსელონამ“ ამ მუხლით 20 მილიონ ევროზე მეტი მოგება ნახა.

ასე რომ, მოთამაშეებისთვის პრემიალური თანხების გადასახდელად ჩუკოტკის ექს-გუბერნატორს ფულის სესხება ნამდვილად არ დასჭირდება.

**ირმა ირემაშვილი**

**ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის“ საპრიზო თანხები**

| რაში მიიღო | თანხა (მლნ ევრო) |
|---|---|
| 1. ჯგუფურ ეტაპში მონაწილეობისთვის | 7,2 |
| 2. ჯგუფურ ეტაპზე მოგებებისა და ფრეებისთვის | 3,2 |
| 3. 1/8 ფინალში მონაწილეობისთვის | 3,0 |
| 4. 1/4 ფინალში გასვლისთვის | 3,3 |
| 5. ნახევარფინალში გასვლისთვის | 4,2 |
| 6. ფინალში გამარჯვებისთვის | 9,0 |
| მთლიანად | 29,9 |

ტელეტრანსლაციებისგან მიღებული შემოსავლების გაუთვალისწინებლად

კალათბურთი

# მოზაიკა

**უკვე გაუწყეთ, რომ ქართული კალათბურთის ამომავალმა (ბევრის აზრით – უკვე ამოსულმა) ვარსკვლავმა თორნიკე შენგელიამ ტრავმა მოიშუშა და ბავშვობისდროინდელი ოცნების – ნბა-ში სათამაშოდ ემზადება.**

მანამდე კი „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი თავისი კლუბის „შარლერუას“ შემადგენლობაში ბელგიის ჩემპიონის ტიტულის მეორედ მოსაპოვებლად იბრძვის. წარმატებითაც.



ფინალური სერიის პირველი მატჩი „შარლერუამ“ სტუმრად 80:69 მოუგო „ოსტენდეს“ და მეორე შეხვედრას იმავე მეტოქესთან დღეს შინ გამართავს.

23 წუთში მოგროვებული 18 ქულა – ასეთია შენგელიას პირადი მონაგარი.

შეგახსენებთ, რომ დასკვნითი რაუნდი სამ გამარჯვებამდე გაგრძელდება.

* * *

**„სან ანტონიო“ განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას ნბა-ს ჩემპიონობისკენ – ტეხასელებმა პლეი-ოფებში ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგეს.** შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში პარკერის, დანკანისა და ჯინობილის კლუბმა ერთნაირი ანგარიშით – 4:0 დაჯაბნა მეტოქეები, ხოლო ფინალური სერიის სტარტზე 101:98 სძლია დიურანტის, ჰარდენისა და ვესტბრუკის „ოკლაჰომას“. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა გადამწყვეტ უპირატესობას დასკვნით პერიოდში მიაღწიეს, როცა 38:24 იძალეს.



რაც შეეხება დასავლეთის ფინალს, „მაიამიმ“ პირველ ბრძოლაში შინ „ბოსტონი“ დაჯაბნა – 93:79. ჯეიმსმა 32 ქულას მოუყარა თავი, ხოლო უეიდმა – 22-ს.

**გიორგი შოთაძე**

ⓞ ახალი გამოცემები

# ძმები კარბელაშვილები წმინდანთა დასში შერაცხეს

**ქართულ გვართა შორის კარბელაშვილების გვარი ერთ-ერთი გამორჩეულია. აღსანიშნავია, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. მათგან შეიძლება დავასახელოთ პროფესორი ლუარსაბ კარბელაშვილი, პროფესორი ანდრე კარბელაშვილი, სასულიერო მოღვაწეები პეტრე, ანდრია, პოლიევქტოსი, ფილიმიანი, გრიგოლი და სტეფანე. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ ფილიმონ კარბელაშვილი ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ მხატვრული გმირის — მღვდლის პროტოტიპია.**

უნდა ითქვას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ამ გვარის მოღვაწეთა ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა და ამიტომ მას ფართო მკითხველი საზოგადოება არ იცნობს. ამ მხრივ ყინული დაიძრა და ახლახან გამოვიდა კარბელაშვილთა, ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის დეკანოზ **პოლიევქტოს კარბელაშვილის** ორი წიგნი — **„ქართული საერო და სასულიერო კილოები“** (1898წ და **„იერარქია საქართველოს ეკლესიის, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“ (1900). გამომცემლობა „კაბადონი+“** მეორედ გამოსაცემად ისინი მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო **ბონდო არველაძემ.**

აქვე ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ: კარბელაშვილები, გარდა იმისა, რომ ქართული გალობა-სიმღერების შეგროვებასა და აღდგენას ინტენსიურად ეწეოდნენ, თვითონაც შესანიშნავი მგალობლები იყვნენ. მათ სიმღერის თავისებური მანერა ჰქონდათ, რომელიც „კარბელაანთ კილოთია“ ცნობილი.

გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილს. იგი ქარ-






თულ გალობათა შეგროვებას და აღდგენას მაღალი პიროვნული თვითშეგნებით უდგებოდა. ეს მით უფრო საშური იყო, რადგან ამ დროს (XIX ს.წ ქართული გალობა-სიმღერები დავიწყების რეალური საშიშროების წინაშე დგას. იგი სრულიად მართებულად ქართული გალობა-სიმღერის მივიწყებას სამშობლოს დაკარგვის ტოლ-ფასად თვლიდა. „კაცის მჭამელზედ უარესია, მომსპობი და შემცვლელი სამშობლო გალობის და სიმღერების — უცხო იქნება თუ შინაური. სამშობლო გალობისა და სიმღერების დაკარგვას და შეცვლას მე ვადარებ სამშობლო ენის, თვით სამშობლოს დაკარგვას“ — წერდა კარბელაშვილი. ამ პატრიოტული სულისკვეთებით შეუდგა ქართული გალობა-სიმღერის შეგროვება-აღდგენას და ამ სფეროში საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა.

პოლიევქტოს კარბელაშვილი ფართო და აქტიური მოღვაწე იყო. უპრიანი იქნება მოკლედ გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას მისი მეცნიერულ-პუბლიცისტური საქმიანობა, მას გამოქვეყნებული აქვს XIX ს-ის ქართულ პერიოდულ პრესაში სტატიები და ნარკვევები ქართული საერო და სასულიერო მწერლობის საჭირბოროტო საკითხებზე. მისი ფსევდონიმები იყო — პ. ჯალელი, პ. ცხვილოელი, პ. სამთავისელი, უსიტყველი, და სხვ. ეწეოდა ნაყოფიერ საგამომცემლო საქმიანობასაც. გამოქვეყნებული აქვს — ანტონ I-ის „მზამეტყველება“ (1892წ, „წმინდა მოწამე აბო ტფილელი“ (1899წ, „ცხოვრება წმინდა ნინოსი“ (1908წ და სხვ. მან აღწერა 132 ხელნაწერი, აქედან 22 ტყავზეა ნაწერი. ამ ხელნაწერებზე გაკეთებული მინაწერი თავისი კომენტარებით და შენიშვნებით გამოაქვეყნა „ივერიაში“ (1899წ. პოლიევქტოს კარბელაშვილმა არაერთი ისტორიული საბუთი აღწერა. ესენია — „შიო მღვიმის გუჯარი მეფე გიორგი მესამესი — 1770“, „დიდი დავითი კურაპალატის ჯვარი“, „ტბეთის ტაძრის სახარება, ტყავზე ნაწერი — 1662“ და სხვ. მან 1925 წელს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივს გადასცა 70-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი. და სხვ.

რაც შეეხება წიგნს — „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ მასში გადმოცემულია ქართული გალობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. წარმოდგენილია აგრეთვე ქართული გალობა-სიმღერების შეგროვების და აღდგენის საქმეში ქართველ მოღვაწეთა ამაგი და დამსახურება. პირველად გამოყენებულია არაერთი საარქივო მასალა და გაანალიზებული და შეფასებულია მათი მეცნიერული მნიშვნელობა.

მეორე წიგნში — „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი“ წარმოდგენილია საქართველოს კათალიკოსთა და მღვდელმთავართა ქრონოლოგიური სია მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით. ამით გააგრძელა მის წინამორბედთა საქმიანობა. პირველი მცდელობა საქართველოს კათოლიკოსთა ზეობისა ეკუთვნის დავით მესხიშვილს (დავით რექტორი, XVIIIწ. ეს სია შემდეგ დააზუსტეს და შეავსეს პლატონ იოსელიანმა, თედო ჟორდანიამ, მიხეილ თამარაშვილმა და სხვ.

პოლიევქტოს კარბელაშვილის აღნიშნული ნაშრომები არის საქართველოს კათოლიკოსთა და მღვდელმთავართა ზეობის დადგენის მნიშვნელოვანი ცდა. მასში გათვალისწინებულია როგორც ნაწარმოები, გამოყენებულია ახალი საისტორიო ცნობა და საარქივო მასალა ამა თუ იმ კათოლიკოსის და მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებ. ეს ნაშრომი შეიძლება ითქვას გარკვეული საეტაპო მნიშვნელობისაა ამ სფეროში.

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის მონოგრაფიებს — „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ და „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი“ მეცნიერული ღირებულება არ დაუკარგავთ და შეიძლება ითქვას ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

2011 წლის 20 დეკემბერს წმინდა სინოდმა განიხილა ძმები კარბელაშვილების კანონიზაციის საკითხი და ისინი წმინდანთა დასში შერაცხეს.

სიამოვნებით აღვნიშნავ: უსათუოდ დროული და კარგი საქმე გააკეთა ბონდო არველაძემ ამ წიგნების გამოცემით, რითაც პატივი მიაგო წმინდანების — პოლიევქტოს კარბელაშვილის და მისი ძმების ნათელ ხსოვნას.

**გიორგი ბურჯანაძე**

ⓞ ჩვენი კარაბადინი

# რა წამლები უნდა წავიღოთ თან, როდესაც ქალაქიდან გავდივართ

**მოდის ზაფხული და იწყება მიგრაცია: ვინ შვებულებაში მიდის, ვინ — აგარაკზე ან სტუმრად. პირველი, რაც თან უნდა გქონდეთ ნებისმიერ მოგზაურობაში — ესაა აუცილებელი წამლები.**

**ექიმი-სპეციალისტები გვირჩევენ: თითოეული ჯგუფიდან აირჩიეთ ნებისმიერი წამალი და წაიღეთ თან.**

**1. პრეპარატები ექიმის რეცეპტით**

არ დაივიწყოთ ის პრეპარატები ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ, რომლებსაც ჩვეულებრივად ღებულობთ, რომ ისინი გეყოთ სახლიდან წასვლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**2. გაციების საწინააღმდეგო პრეპარატები**

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, გაციების ალბათობა ზაფხულში ისეთივეა, როგორც ზამთარში. დამნაშავეები კონდიციონერები და აკლიმატიზაციაა. რა ვიყიდოთ: ანტიგრიპინი, კოლდაქტი, ოცილოკოკცინუმი. ოქსოლინის საცხი უნდა წავისვათ ცხვირში, რომ სენი არ შეგვეყაროს.

**3. გარეგანი გამოყენების საშუალებანი**

სპეციალისტების ყველა რჩევის მიუხედავად — თავი მოვარიდოთ მზის პირდაპირ სხივებს სადილის დროს, არ წავიდეთ ლაშქრობებში მოსკიტების საწინააღმდეგო საშუალებების გარეშე და არ მივიღოთ მონაწილეობა სახიფათო სატრანსპორტო საშუალებების ექსპერიმენტებში — პატარა, მაგრამ სამწუხარო ტრავმებს ხშირად გვერდს ვერ ავუვლით არდადეგების დროს. დასვენების ადგილზე დაჟეჟილობის, ნაჩხაპნების, მზის დამწვრობის და ა.შ. სამკურნალოდ სათანადო წამლების შოვნა ძნელი არაა, მაგრამ ღირს ამისთვის დრო დავკარგოთ?




რა ვიყიდოთ: მწვანე სპირტის (ე.წ. „ზელიონკის“წ ფანქარი, ბინტი, ბაქტერიციდური ხელსახოცი, ანტისეპტიკი, ბამბა, სისხლის შემაჩერებელი ღრუბელი, სალბუნის რამდენიმე სახეობა. დაჟეჟილობის, ჭრილობის, ნაკბენის, დამწვრობის სამკურნალოდ — ციკადერომის საცხი, ეპლანი და ა.შ.

**4. ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი**

მომქანცავი მაღალი ტემპერატურა ან უფრო უარესი, კბილის, თავის ტკივილი, სპაზმები, მუცელში — ასეთ შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად.

რა ვიყიდოთ: პარაცეტამოლი, ნუროფენი, იბუფენი. სპაზმატური ტკივილების დროს — სპაზგანი, სპაზმალგონი, ნოშპა.

**5. სურდოს საწინააღმდეგო საშუალებანი**

სურდო — ხშირი შემთხვევაა ზღვის კურორტებზე. ზოგჯერ ეს არის გაციების შედეგი, ზოგჯერ აუზის ან ზღვის წყლის ზემოქმედებისა. ჩვეულებრივმა ბოლომდე მოურჩენელმა სურდომ თვითმფრინავში შეიძლება სერიოზულ უსიამოვნებამდე მიგვიყვანოს — წნევის მკვეთრი ვარდნილობის გამო. თუ ძლიერი სურდო გაქვთ, თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ აუცილებლად გამოიყენეთ სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთები. ფრენის დროს ან შემდგომ, როდესაც ამ წვეთების მიღება უკვე სასურველი აღარაა, შეიძლება ვწუწნოთ სურდოს აბები.

რა ვიყიდოთ: ცხვირში ჩასაწვეთებლად — აკვამარისი, პინოსოლი, ნაზოლი, ნაზივინი და ა.შ. სურდოს აბები — კორიზალია, აკვალორი. ქალალდის ცხვირსახოცები.

**6. ნჯღრევის საწინააღმდეგო საშუალებანი**

თუ ტრასპორტში ყოფნის დროს ნჯღრევის გამო ცუდად ხდებით, უმჯობესია დაჯდეთ წინ, სახით მოძრაობის მიმართულებით. უყურეთ ერთ უძრავ წერტილს და არა ფანჯარაში. გზაში უნდა გქონდეთ ნჯღრევის საწინააღმდეგო პრეპარატები.

რა ვიყიდოთ: კუკულინი, დრამინა, ავია-ზღვა, ბონინი.

**7. ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებანი**

თუ სურდო „უხვია“, ცხვირიდან გამონადენი სითხე ლორწოვანი ხასიათისაა, გაციების სხვა სიმპტომები კი არა, ეს ალბათ ალერგიაა. უცნობი კლიმატი, ცხოველები და მცენარეები, უცნობი საკვები შეიძლება იყოს ალერგიული. ალერგიის საწინააღმდეგო საშუალება დაგვჭირდება აგრეთვე, თუ გიკბინათ მწერმა ან ზღვის ქვეწარმავალმა.

რა ვიყიდოთ: ერიუსი, კლარიტინი, სუპრასტინი.

**8. პრეპარატები კუჭ-ნაწლავის ტრაქტისათვის**

ახალი კერძები და შეუჩვეველი წყალი — კუჭისთვის სტრესია.

რა ვიყიდოთ: აქტივირებული ნახშირი ან ენტეროსგელი (ეს შეინახეთ მაცივარშიწ, ლაქტოფილტრუმი (ასუფთავებს ტოქსინებისაგანწ, ლოპერამიდი ან სმექტა, რეგიდრონი, ლინექსი (აღადგენს ფლორასწ, ფესტალი ან მეზიმი (აუმჯობესებს საკვების გადამუშავებასწ.

შეარჩიეთ ორი-სამი საშუალება, ერთი — აუცილებლად დიარეისთვის.

ⓞ ინფორმაცია

# ბათუმში მცხოვრები დევნილები აქციებს განაგრძობენ

**ბათუმში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით აქციებს განაგრძობენ. ილია ჭავჭავაძის ძეგლთან შეკრებილმა დევნილებმა ტრანსფარანტებიც გამოფინეს: — „ჭერი ყველა დევნილს, შეწყდეს დევნილთა დევნა!“; „პრეზიდენტო, უსახლკარო დევნილები პასუხს ელიან!“**



როგორც დევნილები აღნიშნავენ, პერმანენტულ აქციებს ღამისთევით განაგრძობენ.

„ვართ უბინაოდ დარჩენილები. ჩვენი მოთხოვნაა, დაგვაკმაყოფილონ ბინით. მეშვიდე თვეა, ვმართავთ აქციებს და არავინ არ გვისმენს. ყველა უწყებას მივმართეთ და არავისგან პასუხი არ მიგვილია. პრეზიდენტსაც მივმართეთ, ვითხოვთ მისგან პასუხს, დაგვაკმაყოფილებს დევნილებს ბინით თუ არა? გადაწყვეტილი გვაქვს, კარვების გარეშე ღამისთევა დავიწყოთ“, — აღნიშნა ეკატერინე დოლიძემ.

30 მარტს აფხაზეთიდან დევნილები სანქცირებულ აქციაზე კარვების გაშლას აპირებდნენ. პოლიციამ აქციის მონაწილეებს კარვების გაშლის საშუალება არ მისცა, რის დროსაც დევნილებსა და პოლიციას შორის შეხლა-შემოხლა მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

დალი, ნიკო ბაქრაძეები ოჯახებით იუწყებიან

**რევაზ ბაირამაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლევან ლაზარიშვილს მამის

**თენგიზ ლაზარიშვილის**

გარდაცვალების გამო.

განძი

# ტაჯიკ გასტარბაიტერთა უიღბლო ვარსკვლავი



**მარტში, სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ ძველისძველ სასახლეში სამალავს მიაგნეს, სადაც იმოდენა განძი აღმოაჩინეს, რომლის დარი ლეგენდარულ მეკობრეებზე შექმნილ ლეგენდებშიც კი არ მოიძებნება.**

**ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები თავად ნარიშკინების სასახლეში ნაპოვნ განძს უპრეცედენტოს უწოდებენ. საიდუმლო ოთახში, რომელიც სასახლის არც ერთ გეგმაზე არ იყო აღნიშნული და რომელსაც შემთხვევით მიაგნეს ეზოს ფლიგელის იატაკის დაშლისას, 40 ტომარა ძვირფასეულობა ინახებოდა.**





ყველა ნივთი იდეალურადაა შენახული – ნაკეთობები ჯერ ძმრიან ტილოებში გაუხვევიათ, რათა ლითონი არ დაჟანგულიყო, მერე კი ფუთებსა და ყუთებში ჩაუწყვიათ. სუფრის ვერცხლეულში 1917 წლის ზაფხულით დათარიღებული გაზეთი ნახეს, რაც იმას მოწმობს, რომ ამ სიმდიდრის პატრონს მომავლის თაობაზე არანაირი ილუზია არ ჰქონდა, მაგრამ დაბრუნება, როგორც ჩანს, ველარ შეძლო და დარჩა განძი შეუმჩნეველი მთელი 95 წლის მანძილზე...

გასაოცარი კიდევ ისიც არის, რომ ნარიშკინების განძის მისტიკურ მომენტს ძალიან სერიოზულად სანკტ-პეტერბურგის პოლიციაშიც კი ეკიდებიან. თავად განსაჯეთ, ბატონებო: **განძი 27 მარტს გამოჩნდა, ეს თარიღი კი ღვთისმშობლის თევდორეს ხატის დღეა, რომელიც... რომანოვების ხატია. პეტრე დიდის დედა კი, ნატალია კირილეს ასული, ნარიშკინა გახლდათ!**

სადღეისოდ ექსპერტებმა განძი აღწერეს, მაგრამ ჯერ არ შეუფასებიათ. მთლიანად აღმოჩნდა 2168 ნივთი, მათ შორის კარის იუველირის პავლე საზიკოვის, სუფრის ვერცხლეული კი მეფის კარის მიმწოდებელთა – კარლ ფაბერჟეს, პავლე ოვჩინიკოვის, ივანე ხლებნიკოვის ხელქმნილი ნაკეთობებია.

– მარტო ერთი ვერცხლის სამოვარი შეიძლება ნახევარ მილიონამდე დოლარი ღირდეს, გააჩნია თუ ვისი ნაკეთობაა, – ამბობს ანტიკვარული მაღაზიის შემფასებელი ანდრეი სობოლევი. – იმ ეპოქის კოვზების ფასი ასი დოლარიდან იწყება, თუმცა, ცხადია, მათი კრებული უფრო ძვირი ღირს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სერვიზის ავტორის ვინაობამ მისი ფასი შეიძლება... გააასმაგოს!

განძის ინვენტარიზაციაზე მომუშავე ექსპერტები მისი მიახლოებით შეფასებისგანაც თავს იკავებენ და უფრო მეტად ნაპოვნის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ.

კანონით, განძის ნახევარი სასახლის მფლობელს ეკუთვნის, რომელიც კომპანია-რესტავრატორის წილობრივ მფლობელობაშია. მეორე ნახევარი კი იღბლიან მპოვნელს უნდა მიაკუთვნონ, რომლის სახელს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. მაგრამ არა იმიტომ, რომ ფულის სათხოვნელად აბეზარი ნაცნობ-ნათესავები, ანდა დასაყაჩაღებლად ბანდიტები არ მიადგნენ: **საქმე ისაა, რომ სამალავს ტაჯიკმა გასტარბაიტერებმა მიაგნეს, რომლებმაც მისი დამალვა და სასახლიდან სამშენებლო ნაგვის სახით გატანა სცადეს.**

– ეჭვი მშენებლობის დაცვამ აიღო – ტაჯიკები ტომრების ეზოში მდგარ „გაზელში“ ტვირთავდნენ, – განაცხადეს გამომძიებლებთან რესტავრატორ კომპანიაში. – მანამდე სამშენებლო ნაგავი „გაზელებით“ არასოდეს გაუტანიათ. დაცვამ ტომრები რომ გახსნა, შიგ სუფრის ვერცხლეული აღმოჩნდა.

ეშმაკ მშენებლებს 20 ტომარა ძვირფასეულობის „მოტეხვა“ უნდოდათ – ერთ ჯერზე მეტის წაღებას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ განძის დარჩენილი ნაწილი ორ ახალ სამალავში მოათავსეს. მცველებმა ამბავი უფროსობას შეატყობინეს, უფროსობამ – სმოლნსა და პოლიციას, გასტარბაიტერები კი განყოფილებაში წააბრძანეს.

**კანონით, განძის მპოვნელს მისი ღირებულების 25 პროცენტი ეკუთვნის იმ შემთხვევაში, თუკი მას კულტურულ-ისტორიულ ფასეულობად ჩათვლიან, ხოლო თუ ასე არ მოხდება, მაშინ – ნახევარი.** განძის გატაცების თაობაზე კი კანონში არაფერია ნათქვამი. ფაქტობრივად გამოდის, რომ გასტარბაიტერებს ან ქურდობის მცდელობისთვის დასჯიან, ან რამდენიმე მილიონ დოლარს გადაუხდიან. მაგრამ...

– მუშებმა განაცხადეს, რომ განძი მათ არ უპოვნიათ, – განაცხადეს პოლიციაში. – ჰოდა, თუ არ უპოვნიათ, მაშასადამე მათთვის მისაცემიც არაფერი ყოფილა...

– ექსპერტიზას, შესაძლოა, მთელი წელი დასჭირდეს, ხოლო შეფასებას – ორ-სამი თვე, – ამბობენ შენობის მეპატრონეები. – ყველაფერი რომ დამთავრდება, ჩვენ გვინდა, რომ კოლექცია კი არ დაიშალოს, არამედ ნარიშნიკების სასახლეში დაბრუნდეს.

– შესაძლოა, იქ აზნაურთა ყოფის მუზეუმი გაიხსნას, რომელსაც საფუძველს აღნიშნული კოლექცია დაუდებს, – ასე ფიქრობენ სანკტ-პეტერბურგის მთავრობაში.

ნარიშკინების გვარის ბოლო წარმომადგენელი ნატალია ცოცხალია, ახლა იგი 84 წელსაა გადაცილებული. მას შთამომავლობა არ ჰყავს, ამდენად ეს გვარი მის შემდეგ გაქრება. თუმცა მას შორეული ნათესავები ჰყავს. ქალბატონმა ნარიშკინამ, რომელიც პარიზში ცხოვრობს, უკვე მიმართა რუსეთის საელჩოს განძის თაობაზე, თუმცა კი თავად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ლოგინიდან თითქმის არ დგება, მას სოციალური მუშაკი უვლის.

მაგრამ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო მომენტი ის გახლავთ, რომ **პირველებმა განძის პატრონობის პრეტენზია... სანკტ-პეტერბურგისა და მისი ოლქის... კომუნისტებმა განაცხადეს, რომლებიც ასეთ „ფოკუსებს“ ხშირად აკეთებენ.**

– განძის გადამალვის დროისთვის ნარიშნიკების მთელი ქონება კანონიერი ხელისუფლების – პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ ნაციონალიზებული იყო და ბოლშევიკთა პარტიის საჭიროებისთვის გამოსაყენებლად მას გადაეცა, – განაცხადეს მათ. – ამდენად განძი ბოლშევიკთა სპეცფონდის ნაწილია.

– 1922 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომელიც არავის გაუუქმებია, ექსპროპრიირებული ქონების პატრონებს მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება არა აქვთ, – აცხადებენ განძის მპოვნელი რესტავრატორები.

– მაგრამ ნარიშკინებს, თუკი მათ მოეპოვებათ სათანადო ანდერძი, მაინც შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ და საქმის მოგების შანსიც ექნებათ, – ამბობენ სანკტ-პეტერბურგის ადვოკატთა კოლეგიაში.

ამასობაში რუსეთის თავადაზნაურობას კი მიაჩნია, რომ მემკვიდრეობაზე დავის წამოწყება არ ღირს, რადგან ეს წოდებას არ შვენის.

– მორალური თვალსაზრისით, მთელი განძი რუს ხალხს ეკუთვნის, – ამბობს რომანოვების სახლის წევრთა ასოციაციის წარმომადგენელი ივან არციშევსკი. – რუსული ემიგრაციის თვალთახედვით, შთამომავალთათვის განძის უკან დაბრუნების მოთხოვნა ან თხოვნა, უაზრობა იქნება...

**დალი ხუნდაძე**

მოვლენის შემდეგ



## პოსტ „წასვლუმ“

რა უნუგეშოდ დამტოვეს,
სასოწარკვეთა დამმართეს –
ეს გული რომ ვერ ინელებს...
მივტირი ქართველ დანტონებს,
ქუთაისს წასულ მარატებს,
თან კიდევ – რობესპიერებს...

**რამაზ ილმელი**

კადრი



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

– **საწოლში** ჩვენს მეზობელ ვასკაზე უკეთესი ყოფილხარ, – ეუბნება ცოლი ქმარს.
– რა თქვიიი???
– სხვანაირად ნუ იფიქრებ! – შეშინდა ცოლი, – გუშინ ვასკას ცოლი და მე ვლაპარაკობდით ქმრებზე.



**ჩემს** კატას ჩინოვნიკი დავარქვი. ჭამს, სძინავს და არაფერს სასარგებლოს არ აკეთებს. მარტო სუქდება!

* * *

**თბილისი** საკმაოდ დიდი ქალაქია, მაგრამ მანქანის გასაჩერებელი ადგილი არსადაა.

* * *

**რაც** უფრო გვიან მოხვდები ჩვენს გაპრიალებულ ახალგახსნილ საავადმყოფოში, განკურნების მით უფრო მეტი შანსი გაქვს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24